კომპონენტი 2. ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.2 ან 3.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.2 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **60-80 ქულა**;

კომპონენტი 3. ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.3 ან 1.4 ან 3.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **50 ქულა**;

კომპონენტი 4. ყოველ 5 წელიწადში ერთხელ მონაწილეობდეს საგრანტო პროექტში ხელმძღვანელის/მენეჯერის/კოორდინატორის ან ძირითადი პერსონალის სახით (საგრანტო პროექტებში იგულისხმება ინდივიდუალური გრანტებიც, ასევე სამეცნიერო ინფრასტრუქტურული გრანტები ან სხვა) ან ყოველ წელს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში მისი ხელმძღვანელობით/მენეჯერობით ან ძირითად პერსონალად მონაწილეობით წარდგენილ საგრანტო პროექტს მიღებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ მაქსიმალური შეფასების 80% (ამ შემთხვევაში იგულისხმება საგრანტო პროექტები ფუნდამენტური კვლევებისათვის, გამოყენებითი კვლევებისათვის, უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის და სხვა) - **50 ქულა**;

კომპონენტი 5. ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 4.1 ან 4.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **40 ქულა**;

კომპონენტი 6. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობდეს სამეცნიერო კონფერენციაში, რომლის მასალებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში - **30 ქულა**;

კომპონენტი 7. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო ჟურნალში - **25 ქულა**;

კომპონენტი 8. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალში - **20 ქულა**.

ბ.გ) ასისტენტ-პროფესორი:

კომპონენტი 1. ყოველ 6 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული დანართის 1.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **100 ქულა**;

კომპონენტი 2. ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.2 ან 3.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 6 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.2 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **60-80 ქულა**;

კომპონენტი 3. ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.3 ან 1.4 ან 3.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **50 ქულა**;

კომპონენტი 4. ყოველ 6 წელიწადში ერთხელ მაინც მონაწილეობდეს საგრანტო პროექტში ძირითადი პერსონალის სახით (საგრანტო პროექტებში იგულისხმება ინდივიდუალური გრანტებიც, ასევე სამეცნიერო ინფრასტრუქტურული გრანტები ან სხვა) ან ყოველ წელს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში მისი ხელმძღვანელობით/მენეჯერობით ან ძირითად პერსონალად მონაწილეობით წარდგენილ საგრანტო პროექტს მიღებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ მაქსიმალური შეფასების 80% (ამ შემთხვევაში იგულისხმება საგრანტო პროექტები ფუნდამენტური კვლევებისათვის, გამოყენებითი კვლევებისათვის, უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის და სხვა) - **50 ქულა**;

კომპონენტი 5. ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 4.1 ან 4.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **40 ქულა**;

კომპონენტი 6. ყოველ 4 წელიწადში ერთხელ მაინც მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობდეს სამეცნიერო კონფერენციაში, რომლის მასალებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში - **30 ქულა**;

კომპონენტი 7. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო ჟურნალში - **25 ქულა**;

კომპონენტი 8. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალში - **20 ქულა**.

3. „ა“ კატეგორიის აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო -

- ა) პროფესორი - თვეში 3550 ლარი;
- ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 3000 ლარი;
- გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 1660 ლარი.

4. მე-3 პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს მიღების საფუძველს წარმოადგენს ქვემოთმოცემული სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვის და მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის - სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვის შესრულება:

ა) სავალდებულო დატვირთვა - პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ სავალდებულო 16 საათი - 8 - სააუდიტორიო (პედაგოგიური), 8 - საკონსულტაციო, ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 20 საათი - 10 - სააუდიტორიო (პედაგოგიური), 10 - საკონსულტაციო, ასისტენტ-პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 24 საათი - 12 - სააუდიტორიო (პედაგოგიური), 12 - საკონსულტაციო;

ბ) მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვა, რომელიც განისაზღვრება ფაკულტეტის საბჭოს მიერ და არ უნდა იყოს პროფესორის ამ დანართის მე-2 პუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დატვირთვაზე ნაკლები, ასოცირებული პროფესორისთვის ამ დანართის მე-2 პუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დატვირთვაზე ნაკლები, ასისტენტ-პროფესორისთვის ამ დანართის მე-2 პუნქტის „ბ.გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დატვირთვაზე ნაკლები.

5. წინამდებარე დანართის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ პერსონალს შრომითსამართლებრივი ურთიერთობა უნდა ჰქონდეს მხოლოდ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან (ნებადართულია: შესაბამისი ანაზღაურებით ან მის გარეშე სსიპ - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ და სსიპ - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიებში სამეცნიერო-კვლევითი ფუნქციის განხორციელება, არასაუნივერსიტეტო გრანტებსა და პროექტებში, ასევე უნივერსიტეტის მიერ

სამეცნიერო/კვლევით/უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებით/მემორანდუმით გათვალისწინებულ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში მონაწილეობა ან ხსენებული ხელშეკრულების ან მემორანდუმის ფარგლებში, ასევე საერთაშორისო ვალდებულებებიდან გამომდინარე, სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე, სასწავლო კურსის ან მისი ნაწილის წაკითხვა (გადაწყვეტილებას ზემოხსენებული ხელშეკრულებით/მემორანდუმით გათვალისწინებულ ანაზღაურებად სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში მონაწილეობაზე, ასევე სასწავლო კურსის ან მისი ნაწილის წაკითხვის თაობაზე, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ყოველი კონკრეტული აკადემიური პერსონალისათვის, შესაბამისი განხილვის საფუძველზე, იღებს თსუ რექტორი)).

6. ასისტენტის თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს თვეში 1000 ლარით. ასისტენტის თანამდებობრივი სარგოს მიღების საფუძველს წარმოადგენს არანაკლებ სავალდებულო კვირეული 8-საათიანი სააუდიტორიო (პედაგოგიური) და 8-საათიანი საკონსულტაციო დატვირთვის შესრულება.

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის
აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო

1. „ბ“ კატეგორიის აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო -

- ა) პროფესორი - თვეში 1470 ლარი;
- ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 1220 ლარი;
- გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 980 ლარი.

2. პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს მიღების საფუძველს წარმოადგენს ქვემოთმოცემული სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვის და მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის - სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვის შესრულება:

ა) სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვა - პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 4 საათი, ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 6 საათი, ასისტენტ-პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 16 საათი - 8 - საათი სააუდიტორიო (პედაგოგიური), 8 - საათი საკონსულტაციო;

ბ) მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვა, რომელიც შეიძლება დაგროვებული იქნას შემდეგი კომპონენტებისაგან აკადემიური თანამდებობების მიხედვით:

ბ.ა) პროფესორი:

კომპონენტი 1. ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **100 ქულა**;

კომპონენტი 2. ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.2 ან 3.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.2 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **60-80 ქულა**;

კომპონენტი 3. ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.3 ან 1.4 ან 3.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **50 ქულა**;

კომპონენტი 4. ყოველ 5 წელიწადში ერთხელ მონაწილეობდეს საგრანტო პროექტში ხელმძღვანელის/მენეჯერის/კოორდინატორის ან ძირითადი პერსონალის სახით (საგრანტო

პროექტებში იგულისხმება ინდივიდუალური სამეცნიერო გრანტებიც, ასევე სამეცნიერო ინფრასტრუქტურული გრანტები ან სხვა) ან ყოველ წელს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში მისი ხელმძღვანელობით/მენეჯერობით ან ძირითად პერსონალად მონაწილეობით წარდგენილ საგრანტო პროექტს მიღებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ მაქსიმალური შეფასების 80% (ამ შემთხვევაში იგულისხმება საგრანტო პროექტები ფუნდამენტური კვლევებისათვის, გამოყენებითი კვლევებისათვის, უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის და სხვა) – **50 ქულა**;

კომპონენტი 5. ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 4.1 ან 4.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **40 ქულა**;

კომპონენტი 6. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობდეს სამეცნიერო კონფერენციაში, რომლის მასალებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში - **30 ქულა**;

კომპონენტი 7. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო ჟურნალში - **25 ქულა**;

კომპონენტი 8. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალში - **20 ქულა**.

ბ.ბ) ასოცირებული პროფესორი:

კომპონენტი 1. ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული დანართის 1.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **100 ქულა**;

კომპონენტი 2. ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.2 ან 3.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.2 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **60-80 ქულა**;

კომპონენტი 3. ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.3 ან 1.4 ან 3.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **50 ქულა**;

კომპონენტი 4. ყოველ 5 წელიწადში ერთხელ მონაწილეობდეს საგრანტო პროექტში ხელმძღვანელის/მენეჯერის/კოორდინატორის ან ძირითადი პერსონალის სახით (საგრანტო პროექტებში იგულისხმება ინდივიდუალური გრანტებიც, ასევე სამეცნიერო ინფრასტრუქტურული გრანტები ან სხვა) ან ყოველ წელს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში მისი ხელმძღვანელობით/მენეჯერობით ან ძირითად პერსონალად მონაწილეობით წარდგენილ საგრანტო პროექტს მიღებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ მაქსიმალური შეფასების 80% (ამ შემთხვევაში იგულისხმება საგრანტო პროექტები ფუნდამენტური კვლევებისათვის, გამოყენებითი კვლევებისათვის, უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის და სხვა) - **50 ქულა**;

კომპონენტი 5. ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 4.1 ან 4.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **40 ქულა**;

კომპონენტი 6. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობდეს სამეცნიერო კონფერენციაში, რომლის მასალებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში - **30 ქულა**;

კომპონენტი 7. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო ჟურნალში - **25 ქულა**;

კომპონენტი 8. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალში - **20 ქულა**.

ბ.გ) ასისტენტ-პროფესორი:

კომპონენტი 1. ყოველ 6 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული დანართის 1.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **100 ქულა**;

კომპონენტი 2. ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.2 ან 3.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 6 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.2 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **60-80 ქულა**;

კომპონენტი 3. ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.3 ან 1.4 ან 3.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **50 ქულა**;

კომპონენტი 4. ყოველ 6 წელიწადში ერთხელ მაინც მონაწილეობდეს საგრანტო პროექტში ძირითადი პერსონალის სახით (საგრანტო პროექტებში იგულისხმება ინდივიდუალური გრანტებიც, ასევე სამეცნიერო ინფრასტრუქტურული გრანტები ან სხვა) ან ყოველ წელს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში მისი ხელმძღვანელობით/მენეჯერობით ან ძირითად პერსონალად მონაწილეობით წარდგენილ საგრანტო პროექტს მიღებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ მაქსიმალური შეფასების 80% (ამ შემთხვევაში იგულისხმება საგრანტო პროექტები ფუნდამენტური კვლევებისათვის, გამოყენებითი კვლევებისათვის, უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის და სხვა) - **50 ქულა**;

კომპონენტი 5. ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 4.1 ან 4.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **40 ქულა**;

კომპონენტი 6. ყოველ 4 წელიწადში ერთხელ მაინც მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობდეს სამეცნიერო კონფერენციაში, რომლის მასალებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში - **30 ქულა**;

კომპონენტი 7. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო ჟურნალში - **25 ქულა**;

კომპონენტი 8. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალში - **20 ქულა**.

3. „ა“ კატეგორიის აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო -

- ა) პროფესორი - თვეში 2470 ლარი;
- ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 2020 ლარი;
- გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 1530 ლარი.

4. მე-3 პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს მიღების საფუძველს წარმოადგენს ქვემოთმოცემული სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვის და მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის - სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვის შესრულება:

ა) სავალდებულო დატვირთვა - პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ სავალდებულო 16 საათი - 8 - სააუდიტორიო (პედაგოგიური), 8 - საკონსულტაციო, ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 20 საათი - 10 - სააუდიტორიო (პედაგოგიური), 10 - საკონსულტაციო, ასისტენტ-პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 24 საათი - 12 - სააუდიტორიო (პედაგოგიური), 12 - საკონსულტაციო;

ბ) მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვა, რომელიც განისაზღვრება ფაკულტეტის საბჭოს მიერ და არ უნდა იყოს პროფესორის ამ დანართის მე-2 პუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დატვირთვაზე ნაკლები, ასოცირებული პროფესორისთვის ამ დანართის მე-2 პუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დატვირთვაზე ნაკლები, ასისტენტ-პროფესორისთვის ამ დანართის მე-2 პუნქტის „ბ.გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დატვირთვაზე ნაკლები.

5. წინამდებარე დანართის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ პერსონალს შრომითსამართლებრივი ურთიერთობა უნდა ჰქონდეს მხოლოდ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან (ნებადართულია: შესაბამისი ანაზღაურებით ან მის გარეშე სსიპ - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ და სსიპ - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიებში სამეცნიერო-კვლევითი ფუნქციის განხორციელება, არასაუნივერსიტეტო გრანტებსა და პროექტებში, ასევე უნივერსიტეტის მიერ სამეცნიერო/კვლევით/უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებით/მემორანდუმით გათვალისწინებულ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში მონაწილეობა ან ხსენებული ხელშეკრულების ან მემორანდუმის ფარგლებში, ასევე საერთაშორისო ვალდებულებებიდან გამომდინარე, სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო

დაწესებულებაში, აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე, სასწავლო კურსის ან მისი ნაწილის წაკითხვა (გადაწყვეტილებას ზემოხსენებული ხელშეკრულებით/მემორანდუმით გათვალისწინებულ ანაზღაურებად სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში მონაწილეობაზე, ასევე სასწავლო კურსის ან მისი ნაწილის წაკითხვის თაობაზე, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ყოველი კონკრეტული აკადემიური პერსონალისათვის, შესაბამისი განხილვის საფუძველზე, იღებს თსუ რექტორი)).



N 4718/10
17/03/2020

4718-10-3-202003171916



სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს

წ ა რ დ გ ი ნ ე ბ ა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის საფუძველზე დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 29 დეკემბრის №122/2014 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აკადემიური საბჭოს 2020 წლის 24 თებერვლის №9/2020 დადგენილებას.

დანართი: 36 გვერდი

გიორგი შარვაშიძე

რექტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი



სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება

№ 10/2020

24 თებერვალი 2020წ.

„სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - პროფესიული განათლების ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 7 ივნისის №64/2019 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 57-ე მუხლისა და 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/წ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „წ“ ქვეპუნქტის, თსუ-ს პროფესიული განათლების ცენტრის 2020 წლის 19 თებერვლის №3078/10 წერილისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 24 თებერვლის №2 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შევიდეს შემდეგი ცვლილებები „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - პროფესიული განათლების ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 7 ივნისის №64/2019 დადგენილების მე-2 პუნქტით დამტკიცებულ №1 დანართში:

ა) მე-3 მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. ცენტრისათვის უნივერსიტეტის საშტატო განრიგით გათვალისწინებული თანამდებობების დასახელებებია: ცენტრის ხელმძღვანელი, ცენტრის ხელმძღვანელის პირველი მოადგილე, ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილე, მენეჯერი, სპეციალისტი, ასისტენტი.“;

ბ) მე-4 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს „ბ1“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ1) უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულების პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებასა და შესაბამისი პროცედურების განხორციელებას კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების საფუძველზე“;

გ) მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მ) ცენტრის ხელმძღვანელთან შეთანხმებით უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენისა და მობილობის პროცედურების განხორციელებას კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების საფუძველზე.“.

2. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.

3. დადგენილების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს თსუ-ს კანცელარიას.


4. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).

5. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გიორგი შარვაშიძე

რექტორი

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე




სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს

წ ა რ დ გ ი ნ ე ბ ა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ღ“ ქვეპუნქტის საფუძველზე დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - პროფესიული განათლების ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 7 ივნისის №64/2019 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ” აკადემიური საბჭოს 2020 წლის 24 თებერვლის №10/2020 დადგენილებას.

დანართი: 2 გვერდი

გიორგი შარვაშიძე



რექტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი



სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება

№ 11/2020

24 თებერვალი 2020წ.

“სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - ქრისტიანული აღმოსავლეთის კვლევების ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ” აკადემიური საბჭოს 2018 წლის 27 დეკემბრის №243/2018 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 57-ე მუხლისა და 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „წ“ ქვეპუნქტის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქრისტიანული აღმოსავლეთის კვლევების ცენტრის 2020 წლის 11 თებერვლის №2215/10-02 წერილისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 24 თებერვლის №2 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შევიდეს შემდეგი ცვლილებები “სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - ქრისტიანული აღმოსავლეთის კვლევების ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ” აკადემიური საბჭოს 2018 წლის 27 დეკემბრის №243/2018 დადგენილების მე-2 პუნქტით დამტკიცებულ №1 დანართში:

ა) მე-3 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ცენტრის მართვის ორგანოებია ცენტრის საბჭო და ცენტრის დირექტორი. ცენტრისათვის ასევე გათვალისწინებულია კოორდინატორისა და მკვლევარის თანამდებობები.“;

ბ) მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-9 პუნქტი:

„9. მკვლევარი:

ა) ახორციელებს დირექტორისა და საბჭოს მიერ განსაზღვრული სამეცნიერო მიმართულებების განვითარების ხელშეწყობასა და მონიტორინგს;

ბ) მონაწილეობს სამეცნიერო პროექტების შედგენასა და განხორციელებაში.“.

2. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
3. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).
4. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გიორგი შარვაშიძე
რექტორი
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე



სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს

წ ა რ დ გ ი ნ ე ბ ა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ღ“ ქვეპუნქტის საფუძველზე დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ “სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - ქრისტიანული აღმოსავლეთის კვლევების ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ” აკადემიური საბჭოს 2018 წლის 27 დეკემბრის №243/2018 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ” აკადემიური საბჭოს 2020 წლის 24 თებერვლის №11/2020 დადგენილებას.

დანართი: 2 გვერდი

გიორგი შარვაშიძე



რექტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

2019 წლის ანგარიში

მომზადებულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, რომლის მიხედვით, აკადემიური საბჭო წლიურ ანგარიშს წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს.

შესავალი

2019 წლის განმავლობაში ჩატარდა აკადემიური საბჭოს 20 სხდომა, 6 წარმომადგენლობითი და აკადემიური საბჭოების ერთობლივი სხდომა. მიღებულ იქნა 148 დადგენილება და წარმომადგენლობითი საბჭოსათვის გაგზავნილ იქნა 18 წარდგინება.

2019 წელს თსუ აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში მედიცინის ფაკულტეტისა და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენელთა ვაკანსიების შევსების მიზნით, გამოცხადდა აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნები, რომელიც ჩატარდა 12 ივნისს. აკადემიური საბჭოს 2019 წლის 17 ივნისის №11 სხდომაზე აკადემიურმა საბჭომ ცნო არჩეულ პირთა უფლებამოსილება და აკადემიური საბჭოს შემადგენლობას 2 წევრი დაემატა: ორივე წევრი აკადემიური საბჭოს უფლებამოსილებაზე წყვეტილი წევრის დარჩენილი უფლებამოსილების ვადით იქნა არჩეული: მედიცინის ფაკულტეტის წარმომადგენლის შემთხვევაში - 2022 წლის 24 დეკემბრამდე, ხოლო ინსტიტუტის წარმომადგენლის შემთხვევაში - 2020 წლის 8 ივლისამდე.

2019 წელს ასევე დაინიშნა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) წევრთა არჩევნები (დადგენილება: №54/2019, 20.05.2019).

2019 წელს აირჩა ახალი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი - ლაშა სალინაძე.

გამოვეყნეთ რამდენიმე სიახლეს, რომლებსაც აკადემიურმა საბჭომ მხარი დაუჭირა და დაამტკიცა:

1) შეიქმნა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეული - პროფესიული განათლების ცენტრი (№64/2019, 7.06.2019).

2) წლის განმავლობაში მიმდინარეობდა გარკვეული რაოდენობის პროგრამების რეაქრედიტირება. ამასთან ერთად დამტკიცდა ახალი საგანმანათლებლო პროგრამები:

- საბაკალავრო პროგრამა - ქიმია (ინგლისურენოვანი);
- სამაგისტრო პროგრამა - მედიაფსიქოლოგია და კომუნიკაციები (ინგლისურენოვანი);
- სამაგისტრო პროგრამა - პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაცია: პოლიტიკა, ეკონომიკა, საზოგადოება (ინგლისურენოვანი);
- სადოქტორო პროგრამა - პალეონტოლოგია-პალეოანთროპოლოგია;
- სადოქტორო პროგრამა - არქეოლოგია;
- მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა - მულტილინგვური განათლება - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა - სტომატოლოგია (ინგლისურენოვანი).

ქ განახლდა და დამტკიცდა:

- უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა (დადგენილება: №100/2019, 22.07.2019);
- უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა (დადგენილება: №101/2019, 22.07.2019).

ქ ახალი რედაქციით დამტკიცდა:

- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულება (დადგენილება: №69/2019, 7.06.2019);
- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულება (დადგენილება: №75/2019, 17.06.2019);
- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულება (დადგენილება: №80/2019, 1.07.2019);
- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულება (დადგენილება: №92/2019, 22.07.2019);
- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულება (დადგენილება: №93/2019, 22.07.2019);
- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულება (დადგენილება: №112/2019, 6.09.2019).

შრომის ანაზღაურების ოდენობა და პირობები

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდეგში – კანონი) 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული "საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" (შემდეგში – წესდება) მე-8 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, აკადემიური საბჭო ადგენს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესს, შრომის ანაზღაურების ოდენობასა და პირობებს და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს.

„სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების

დადგენის შესახებ“ დადგენილებაში 2019 წლის განმავლობაში ცვლილებები შეტანილ იქნა შემდეგი დადგენილებებით:

„სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 29 დეკემბრის №122/2014 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 6 მაისის №45/2019 და „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 6 მაისის №46/2019 დადგენილებებით.

თანამდებობის პირთა არჩევა და მასთან დაკავშირებული ღონისძიებები

კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტების, 41-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ე“, „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ მიიღო შემდეგი დადგენილებები:

- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ“ (დადგენილება №132/2019, 18.11.2019);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების, პრეტენდენტთა რეგისტრაციის დაწყებისა და მათი შერჩევის კრიტერიუმების შესახებ განცხადების ტექსტის დამტკიცების თაობაზე“ (დადგენილება №133/2019, 18.11.2019);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე კანდიდატის შერჩევის შესახებ“ (დადგენილება №148/2019, 23.12.2019).

პროფესორთა აკადემიურ თანამდებობებზე არჩევა და კონკურსთან დაკავშირებული ღონისძიებები

კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ც“ ქვეპუნქტის, „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118/2014 დადგენილების საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ მიიღო 54 დადგენილება სხვადასხვა

ფაკულტეტზე პროფესორთა აკადემიურ თანამდებობებზე არჩევისა თუ კონკურსთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებების გატარების შესახებ:

- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ (დადგენილება №9/2019, 31.01.2019);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე პროფესორების, ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ-პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 18 ივნისის №157/2018 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (დადგენილება №12/2019, 31.01.2019);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ (დადგენილება №13/2019, 11.02.2019);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ (დადგენილება №17/2019, 11.02.2019);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 3 დეკემბრის №227/2018 დადგენილებით დამტკიცებული საკონკურსო კომისიის შემადგამებელი ოქმის დამტკიცებაზე უარის თქმისა და შესაბამისი მითითებით საკითხის საკონკურსო კომისიისათვის დაბრუნების შესახებ“ (დადგენილება №20/2019, 4.03.2019);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 4 ივნისის №142/2018 დადგენილების მე-6 პუნქტით დამტკიცებული საკონკურსო კომისიის შემადგამებელი ოქმის დამტკიცებაზე უარის თქმისა და შესაბამისი მითითებით საკითხის საკონკურსო კომისიისათვის დაბრუნების შესახებ“ (დადგენილება №21/2019, 4.03.2019);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორისა და ასოცირებული პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ (დადგენილება №22/2019, 4.03.2019);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორების, ასოცირებული პროფესორისა და ასისტენტ-პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ (დადგენილება №23/2019, 4.03.2019);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე პროფესორისა და ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ (დადგენილება №24/2019, 4.03.2019);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორებისა და ასისტენტების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 17 თებერვლის

№19/2016 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (დადგენილება №29/2019, 4.03.2019);

- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შესახებ“ (დადგენილება №32/2019, 26.03.2019);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შესახებ“ (დადგენილება №34/2019, 26.03.2019);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ (დადგენილება №35/2019, 26.03.2019);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შესახებ“ (დადგენილება №39/2019, 4.04.2019);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შესახებ“ (დადგენილება №40/2019, 4.04.2019);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2019 წლის 29 იანვრის №23/01-01 ბრძანების მიზნებიდან გამომდინარე „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორისა და ასისტენტ-პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 11 თებერვლის №16/2019 დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №41/2019, 4.04.2019);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ-პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ (დადგენილება №47/2019, 6.05.2019);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2019 წლის 13 თებერვლის №38/01-01 ბრძანების მიზნებიდან გამომდინარე „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ-პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 26 მარტის №36/2019 დადგენილების მე-2 პუნქტით დამტკიცებული საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №49/2019, 6.05.2019);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორისა

და ასისტენტ-პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ” (დადგენილება №50/2019, 6.05.2019);

- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2019 წლის 13 თებერვლის №39/01-01 ბრძანების მიზნებიდან გამომდინარე „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ-პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 26 მარტის №36/2019 დადგენილების მე-3 პუნქტით დამტკიცებული საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №51/2019, 6.05.2019);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორების სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ“ რექტორის 2018 წლის პირველი მაისის №99/01-01 ბრძანებით ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე მათემატიკის დეპარტამენტისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის რიცხვითი ანალიზის და გამოთვლითი ტექნოლოგიების კათედრაზე (ინტერდისციპლინური) პროფესორის სამსახურში მისაღებად გამოცხადებული კონკურსის დასრულებულად ჩათვლის შესახებ” (დადგენილება №60/2019, 20.05.2019);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შესახებ” (დადგენილება №74/2019, 17.06.2019);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ” (დადგენილება №78/2019, 1.07.2019);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორისა და ასოცირებული პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ” (დადგენილება №86/2019, 22.07.2019);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორების, ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ-პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ” (დადგენილება №87/2019, 22.07.2019);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შესახებ” (დადგენილება №89/2019, 22.07.2019);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე პროფესორისა და ასოცირებული პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ” (დადგენილება №91/2019, 22.07.2019);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2019 წლის 28 მაისის №129/01-01 ბრძანების

მიზნებიდან გამომდინარე „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორების, ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ-პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 7 ივნისის №63/2019 დადგენილების მე-6 პუნქტით დამტკიცებული საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №102/2019, 22.07.2019);

- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შესახებ“ (დადგენილება №105/2019, 6.09.2019);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორების, ასოცირებული პროფესორის და ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ (დადგენილება №107/2019, 6.09.2019);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორებისა და ასოცირებული პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 10 ივლისის №175/2018 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (დადგენილება №116/2019, 6.09.2019);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე პროფესორებისა და ასოცირებული პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 14 ივლისის №80/2017 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (დადგენილება №117/2019, 6.09.2019);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორებისა და ასისტენტების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 17 თებერვლის №19/2016 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (დადგენილება №118/2019, 6.09.2019);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ (დადგენილება №119/2019, 23.09.2019);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შესახებ“ (დადგენილება №120/2019, 23.09.2019);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2019 წლის 9 ივლისის №176/01-01 ბრძანების მიზნებიდან გამომდინარე „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორის, ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 6 სექტემბრის №104/2019 დადგენილების მე-4

პუნქტით დამტკიცებული საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №121/2019, 23.09.2019);

- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე პროფესორებისა და ასოცირებული პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 7 სექტემბრის №193/2018 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (დადგენილება №124/2019, 28.10.2019);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 13 დეკემბრის №238/2018 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (დადგენილება №125/2019, 28.10.2019);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე პროფესორების, ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ-პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 18 ივნისის №157/2018 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (დადგენილება №126/2019, 28.10.2019);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შესახებ“ (დადგენილება №127/2019, 28.10.2019);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შესახებ“ (დადგენილება №137/2019, 18.11.2019);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 4 აპრილის №39/2019 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ (დადგენილება №139/2019, 9.12.2019);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შესახებ“ (დადგენილება №144/2019, 18.12.2019);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 6 სექტემბრის №104/2019 დადგენილების მე-2 პუნქტით დამტკიცებული საკონკურსო კომისიის შემადგამელი ოქმის დამტკიცებაზე უარის თქმისა და შესაბამისი მითითებით საკითხის საკონკურსო კომისიისათვის დაბრუნების შესახებ„ (დადგენილება №146/2019, 18.12.2019);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ (დადგენილება №147/2019, 23.12.2019).

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსებში 65 წლის ან

- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №129/2019, 28.10.2019).

საპატიო დოქტორის წოდებისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედიის მინიჭება

კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, 39-ე მუხლის, წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ და „ძ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, 2019 წელს აკადემიურმა საბჭომ მიიღო 8 დადგენილება საპატიო დოქტორის წოდებისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედიის მინიჭების შესახებ.

თსუ-ს საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭა:

- **ჯეფრი დევიდ საქს** (დადგენილება №10/2019, 31.01.2019);
- **მის სამეფო უმაღლესობა პრინც ჰაინრიჰ ფონ უნდ ცუ ლიჰთენშთაინს** (დადგენილება №108/2019, 6.09.2019);
- **ქეთი დაიან შიკს** (დადგენილება №109/2019, 6.09.2019);
- **ნიკოლას ტოტს** (დადგენილება №110/2019, 6.09.2019);
- **მარკ ჰენეს დანიელს** (დადგენილება №111/2019, 6.09.2019).

თსუ-ს ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედალი მიენიჭა:

- **ალექსანდრე ცისკარიძეს** (დადგენილება №53/2019, 13.05.2019);
- **ჯემალ ხუბუას** (დადგენილება №68/2019, 7.06.2019);
- **ნუნუ ოვსიანიკოვას** (დადგენილება №138/2019, 9.12.2019).

ანკეტა-კითხვარი

კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ი“ და „ი¹“ ქვეპუნქტებისა და წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ი“, „კ“ და „წ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ 2019 წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი დადგენილებები:

- „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2019-2020 სასწავლო წლის საერთო სამაგისტრო გამოცდების ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №11/2019, 31.01.2019);
- “სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2019-2020 სასწავლო წლის საერთო სამაგისტრო გამოცდების ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ” აკადემიური საბჭოს 2019 წლის 31 იანვრის №11/2019 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (დადგენილება №79/2019, 1.07.2019);

- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე 2019 წელს აპლიკანტთა ჩარიცხვის მიზნით სპეციალური ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №113/2019, 6.09.2019);
- “სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2019-2020 სასწავლო წლის საერთო სამაგისტრო გამოცდების ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ” აკადემიური საბჭოს 2019 წლის 31 იანვრის №11/2019 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ” (დადგენილება №114/2019, 6.09.2019);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2020-2021 სასწავლო წლის ბაკალავრიატის, მედიცინის ერთსაფეხურიანი, ოკუპაციური თერაპიის საბაკალავრო და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №143/2019, 9.12.2019).

საგანმანათლებლო პროგრამები

კანონის 21–ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ ცვლილებები და დამატებები შეიტანა 2011 წლის 29 ივნისის „საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ №57/2011 დადგენილებაში შემდეგი დადგენილებებით: №25/2019, №37/2019, №42/2019, №43/2019, №48/2019, №61/2019, №83/2019, №84/2019, №99/2019, №115/2019, №122/2019, №140/2019, №141/2019, №142/2019, №145/2019.

სტრუქტურული ერთეულები

კანონის 21–ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „ს“ ქვეპუნქტების, წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „თ“, „უ“ და „ღ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ მიიღო შემდეგი დადგენილებები:

- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - სტუდენტთა საკონსულტაციო ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 5 თებერვლის №25/2018 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ (დადგენილება №18/2019, 11.02.2019);
- “სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხების კვლევის ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 30 სექტემბრის №95/2014 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ (დადგენილება №19/2019, 11.02.2019);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - მეცნიერებათა პანევროპული აკადემიის თბილისის რეგიონული საგანმანათლებლო-კვლევითი ცენტრის (ჰაბი) შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №27/2019, 4.03.2019);

- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - რელიგიათა კვლევის ინტერდისციპლინური ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 28 მარტის №31/2014 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ (დადგენილება №76/2019, 1.07.2019);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - ინტერდისციპლინური პროგრამებისა და კვლევების განვითარების ცენტრის შექმნის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 22 ნოემბრის №113/2012 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ (დადგენილება №77/2019, 1.07.2019);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - გენდერის კვლევის ინსტიტუტის შექმნის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 22 ნოემბრის №112/2012 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ (დადგენილება №85/2019, 22.07.2019);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცებისა და „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო მნიშვნელობის საგანმანათლებლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის - დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრის შექმნის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 10 ოქტომბრის №109/2011 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2015 წლის 22 იანვრის №4/2015 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ (დადგენილება №88/2019, 22.07.2019);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 30 ნოემბრის №137/2016 დადგენილებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ“ (დადგენილება №131/2019, 28.10.2019);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერჯიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისათვის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსის მინიჭების (შექმნის) და დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 2 სექტემბრის №95/2016 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (დადგენილება №134/2019, 18.11.2019);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისათვის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსის მინიჭების (შექმნის) და დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 2 სექტემბრის №96/2016 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ (დადგენილება №135/2019, 18.11.2019);
- „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - ცოდნის გადაცემისა და

ინოვაციების ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ” აკადემიური საბჭოს 2015 წლის 28 დეკემბრის №135/2015 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (დადგენილება №136/2019, 18.11.2019).

სხვა სახის დადგენილებები

აკადემიურმა საბჭომ კანონის 21-ე მუხლითა და წესდების მე-8 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ასევე მიიღო შემდეგი დადგენილებები:

- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 22 იანვრის №14/2018 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ (დადგენილება №28/2019, 4.03.2019);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურის სასწავლო კურსების სილაბუსების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 13 სექტემბრის №91/2011 დადგენილებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ“ (დადგენილება №30/2019, 4.03.2019);
- “სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო, სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგისა და მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების ინსტრუქციისა და დამტკიცების პროცედურის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 8 დეკემბრის №153/2017 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (დადგენილება №33/2019, 26.03.2019);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 12 თებერვლის №47/2018 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ“ (დადგენილება №38/2019, 26.03.2019);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურის სასწავლო კურსების სილაბუსების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 13 სექტემბრის №91/2011 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (დადგენილება №44/2019, 4.04.2019);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 19 თებერვლის №76/2018 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (დადგენილება №62/2019, 20.05.2019);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“

აკადემიური საბჭოს 2018 წლის 4 ივნისის №140/2018 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (დადგენილება №73/2019, 17.06.2019);

- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 5 თებერვლის №33/2018 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (დადგენილება №81/2019, 1.07.2019);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 19 თებერვლის №75/2018 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (დადგენილება №82/2019, 1.07.2019);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №94/2019, 22.07.2019);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №95/2019, 22.07.2019);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, შეფასებისა და განვითარების წესის დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №96/2019, 22.07.2019);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 19 თებერვლის №75/2018 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (დადგენილება №97/2019, 22.07.2019);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 22 იანვრის №14/2018 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ (დადგენილება №98/2019, 22.07.2019);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკური მეცნიერების დარგში პაატა გუგუშვილის სახელობის სამეცნიერო პრემიის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 3 დეკემბრის №232/2018 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (დადგენილება №130/2019, 28.10.2019).



N 3910/10
04/03/2020

3910-10-3-202003041507



სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს

წ ა რ დ გ ი ნ ე ბ ა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“ ქვეპუნქტის საფუძველზე წარმოგიდგენთ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის ანგარიშს.

დანართი: 18 გვერდი

გიორგი შარვაშიძე

რექტორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2019

წლის ანგარიში

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ლაშა სალინაძე


2020

როგორც თქვენთვის ცნობილია, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის პოზიციას ვიკავებ 2019 წლის 26 დეკემბრიდან, შესაბამისად 2019 წლის ანგარიში ძირითადად დაფუძნებულია შესაბამისი სამსახურების ანგარიშებს, ამასთან გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ადმინისტრაციის ხელმძღვანელად არჩევამდე მე ვიკავებდი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილის თანამდებობას, შესაბამისად უზრუნველყოფილი იყო ჩემი ჩართულობა ქვემოთ მოხსენიებულ აქტივობებში.

ფინანსები

უნივერსიტეტის სტრატეგიული მიზნები 2019 წელს უზრუნველყოფილი იყო უნივერსიტეტის საბიუჯეტო სახსრებით (როგორც შიდა ისე მოზიდული სახსრებით). 2019 წლის ბიუჯეტის მოცულობამ 87,7 მლნ ლარი შეადგინა;

2019 წელს დამტკიცდა უნივერსიტეტის 2020 წლის ბიუჯეტი, რომლის მოცულობა 103,6 მლნ ლარს შეადგენს; უნივერსიტეტის არსებობის ისტორიაში პირველად უნივერსიტეტის ბიუჯეტმა 100 მლნ ლარს გადააჭარბა;



აღნიშნული ბიუჯეტით დაიგეგმა შრომის ანაზღაურების მატება როგორც აკადემიური ისე ადმინისტრაციულ ტექნიკური პერსონალისთვის, კერძოდ: 2020 წლის მარტიდან აკადემიურ პერსონალს გაეზარდა შრომის ანაზღაურება, ასევე დაბალი ანაზღაურების მქონე პერსონალის სახელფასო პოლიტიკის მიაღწელებით გადაიდგა ნაბიჯები; სექტემბრიდან დაგეგმილია ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ანაზღაურების ზრდაც;

უამრავი სიახლე იგეგმება 2020 წელს, თუმცა ამაზე შემდგომ ვისაუბრებთ ამჟამად წარმოგიდგინთ 2019 წლის ანგარიშს;

ადამიანური რესურსები

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი დამსაქმებელია.
ამ დროისთვის უნივერსიტეტში 5 458 თანამშრომელია:

აკადემიური პერსონალი - 734
სამეცნიერო პერსონალი - 909
მოწვეული ლექტორები და მასწავლებლები - 1386
ადმინისტრაციულ - დამხმარე პერსონალი - 2429

მ.შ. შტატით მომუშავე - 2991 (54,8%)
მ.შ. შტატგარეშე მოსამსახურე - 2467 (45,2%)

განახლდა/ცვლილება შევიდა 7 სტრუქტურული ერთეულის (უწყვეტი განათლების ცენტრი, საფინანსო დეპარტამენტი, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი, ბიბლიოთეკა, საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტი, ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი) სამუშაოთა აღწერილობებში.

აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული პერსონალის შეფასების წესი.

სტრუქტურული ცვლილებების შესაბამისად, განახლდა და დამტკიცდა სამუშაო აღწერილობები.

2019 წელს დამტკიცდა 4 სტრუქტურული ერთეულის (პროფესიული განათლების ცენტრი, ცოდნის გადაცემისა და ინოვაციების ცენტრი, ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა, მეცნიერებათა პანევროპული აკადემიის თბილისის რეგიონალური საგანმანათლებლო-კვლევითი ცენტრი,) და განახლდა/ცვლილება შევიდა 7 სტრუქტურული ერთეულის (უწყვეტი განათლების ცენტრი, საფინანსო დეპარტამენტი, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი, ბიბლიოთეკა, საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტი, ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი) სამუშაოთა აღწერილობებში. დამხმარე პერსონალის სამუშაოთა აღწერილობების დამტკიცების

მიმართულებით კონსულტაციები გაეწიათ დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ხელმძღვანელებს. ინსტიტუტების დებულებების შესაბამისად, სამუშაო აღწერილობების დამტკიცება ევალებათ დირექტორებს). ხსენებული მიმართულებით განხორციელებულ აქტივობებში დიდია დეპარტამენტის წვლილი, ფაქტობრივად ყველა სტრუქტურული ერთეულის სამუშაოთა აღწერილობამ გაიარა ექსპერტიზა დეპარტამენტში.

აკადემიური საბჭოს 81/2018 დადგენილებით განსაზღვრული პერსონალის შეფასების წესის შესაბამისად, თვითშეფასების კითხვარები გადაეგზავნა ყველა

საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით ერთეულს. შეფასების ფორმები გაიგზავნა ასევე დამხმარე პერსონალის შესაფასებლად. დამხმარე პერსონალის შეფასების შედეგები დამუშავდა, უწყვეტი განათლების ცენტრის ბაზაზე დაიგეგმა და განხორციელდა შემდეგი ტრენინგ-კურსები: ზოგადი მენეჯმენტი, საპროექტო განაცხადის წერა, ქოუჩინგი მენეჯმენტში, შრომის სამართლისა და პერსონალის მართვის აქტუალური საკითხები. ტრენინგ-კურსები გაიარა თსუ სტრუქტურული ერთეულების დამხმარე პერსონალმა, გაიცა 92 სერთიფიკატი.

დამუშავდა/გაანალიზდა აკადემიური და მოწვეული პერსონალის, მასწავლებელთა ინდივიდუალური დატვირთვის სქემები სემესტრების მიხედვით (საკონტაქტო საათები - ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა, ლაბორატორიული მეცადინეობა), აკადემიური საბჭოს დადგენილების მოთხოვნებთან და გაფორმებული შრომითი ხელშკრულებების პირობებთან

შესაბამისობის დადგენის მიზნით (წლის განმავლობაში დაახლოებით 4500 ხელშეკრულების პირობის გადამოწმება).

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესორ - მასწავლებელთა რეესტრში განხორციელდა აკადემიური პერსონალის და ენების შემსწავლელი ცენტრის, ასევე ფაკულტეტების მასწავლებლების მონაცემების შეტანა-განახლება საკონტაქტო დატვირთვის ჩვენებით სულ -849 პირის.

ინფორმაციის საჯაროობის და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიმართულებით. საანგარიშო წლის განმავლობაში ხორციელდებოდა მოქალაქეებისა და სხვადასხვა ორგანიზაციებიდან მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის სრულყოფილად მოძიება, სისტემატიზაცია/მომზადება (რაც საკმაოდ შრომატევადი და მოცულობითი სამუშაოა) და მიწოდება საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული ვადების დაცვით (2019 წელს დეპარტამენტის მიერ გაიცა საჯარო ინფორმაცია 10-ჯერ).

საქართველოს მთავრობის დადგენილების „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პრაქტიკულად გამოქვეყნების შესახებ“ მოთხოვნის შესაბამისად, თსუ ვებ-გვერდზე ვადების დაცვით, წელიწადში 4-ჯერ, ყოველკვარტალურად, განთავსდა ინფორმაცია საკადრო უზრუნველყოფის შესახებ.

გარკვეული სამუშაო შესრულდა პერსონალის მართვის ავტომატიზებული სისტემის გაცნობისა და დანერგვის მიმართულებით. დეპარტამენტის პერსონალმა გაიარა ტრენინგი ფინანსთა სამინისტროში eHRMS-ის სისტემასთან დაკავშირებით. შეიქმნა „სტრუქტურის ხე“ თავისი ქვედანაყოფებით. რედაქტირება გაუკეთდა

ქვედანაყოფებს და თანამდებობებს თსუ-ს სპეციფიკის გათვალისწინებით. შეიქმნა 935 თანამშრომლის ანკეტური მონაცემები. ანკეტური მონაცემების ასახვის დასრულება და სისტემის დანერგვა ვერ მოხერხდა იმის გამო, რომ eHRMS თავსებადი არ არის თსუ სახელფასო ბაზასთან. გარდა ამისა eHRMS სისტემა არ ითვალისწინებს პერსონალის შეფასების ნაწილს, რაც თსუ-სათვის მნიშვნელოვანია (აქვე შევნიშნავთ, რომ ამ ეტაპზე თსუ-ს მოთხოვნებს ფინანსთა სამინისტრო ვერ ითვალისწინებს, იმის გამო, რომ მათვის პრიორიტეტია საჯარო სექტორში დასაქმებული ადამიანური რესურსების ერთიან მონაცემთა ბაზის ელექტრონული მართვის უზრუნველყოფა). დეპარტამენტი წარმართავს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მიერ დისციპლინისა და ეთიკის ნორმების დარღვევის შემსწავლელი კომისიის მუშაობას. 2019 წელს კომისიამ განიხილა 44 პირის საკითხი. განხორციელდა სავარაუდო დარღვევის შესახებ ინფორმაციის/მასალის მოძიება/მოკვლევა. 24 პირის მიმართ დადასტურდა დარღვევა და დადგენილ ვადებში მომზადდა ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები.

თსუ-სა და საქართველოს სადაზღვევო ჯგუფს შორის ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე თსუ პერსონალს გაეწია კონსულტაციები კომპეტენციის ფარგლებში. სადაზღვევო კომპანიას ყოველი თვის დასაწყისში მიეწოდებოდა დაზუსტებული

ინფორმაცია დაზღვეული პერსონალის რაოდენობისა და შემადგენლობის შესახებ; მიგვაჩნია, რომ თსუ პერსონალს მიეწოდა სრულყოფილი სერვისი, დაზღვევით ისარგებლა პერსონალმა და მათი ოჯახის წევრებმა (2200 პირმა). კანონმდებლობის შესაბამისად, მავნე პირობებში მომუშავე პერსონალი (285 პირი) უზრუნველყოფილი იყო 35 საათიანი სამუშაო კვირითა

და კუთვნილი ანაზღაურებადი შვებულებით (24 სამუშაო დღე + 10 კალენდარული დღე); მცირეწლოვანი ბავშვის დედები უზრუნველყოფილნი იყვნენ დამატებითი ერთსაათიანი შესვენებით; მომზადდა ინფორმაცია მომეტებული საფრთხის შემცველ სამუშაოებზე დასაქმებულ პირთა შესახებ სიცოცხლის დაზღვევასთან დაკავშირებით (დაზღვეულია 88 პირი). გამოიკვეთა გარკვეული ცვლილებების შეტანის საჭიროება განსაკუთრებით დამხმარე პერსონალის შეფასების ნაწილში. შედგა სამუშაო შეხვედრები, განხილული იქნა მოწვეული კონსულტანტების შემოთავაზებული ვარიანტი რომელზეც გამოითქვა შენიშვნები ძირითადად იმ მიმართულებით, რომ ვერ იმუშავეს თსუ-ს რეალობაში. შემუშავებული იქნა ასევე შეფასების კითხვარი თსუ პროფესორების მონაწილეობით, ამ ეტაპისათვის არ არის მიყვანილი შესაბამის კონდიციამდე და არ არის გაზიარებული სტრუქტურული ერთეულებისათვის. ამიტომ შეფასება განხორციელდება 81/2018 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად.

დამუშავდა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს მიეწოდა თსუ აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო კვლევებითი საქმიანობის ამსახველი მონაცემები საერთაშორისო რეიტინგებში (გაეროს სტატისტიკური კითხვარი თსუ-ში, თაიმსის და ტომსონის მსოფლიო უნივერსიტეტების რანჟირების სისტემის მიხედვით მონაცემები) ასახვის მიზნით.

სულ გაფორმდა 1354 შრომითი ხელშეკრულება, აქედან 1244 ფაკულტეტებზე მოწვეულ პერსონალთან, 27 პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამებზე მოწვეულ პერსონალთან, ხოლო 18 უწყვეტი განათლების ცენტრში მოწვეულ პერსონალთან.

საანგარიშო წელს გაუქმდა დამხმარე სამეცნიერო ერთეული, რელიგიათა კვლევის ინტერდისციპლინური ცენტრი და დამხმარე საგანმანათლებლო ერთეული ქუთაისის სასწავლო ცენტრი, რეორგანიზებული იქნა ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეული - სტუდენტური სერვისებისა და კარიერული განვითარების ცენტრი. რეორგანიზებული იქნა და გადავიდა ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე - სტუდენტთა საკონსულტაციო ცენტრი, ინტერდისციპლინური პროგრამებისა და კვლევის განვითარების ცენტრი, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხების კვლევის ცენტრი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე - გენდერის კვლევის ინსტიტუტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე - თსუ-სა და აიდაპოს (აშშ) უნივერსიტეტის ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი. შეიქმნა დამხმარე სამეცნიერო ერთეული - ქრისტიანული აღმოსავლეთის კვლევების ცენტრი და დამხმარე საგანმანათლებლო ერთეული - პროფესიული განათლების ცენტრი.

უწყვეტი განათლება

- ❖ სასერტიფიკატო და ტრენინგკურსების ჯგუფების საერთო მაჩვენებელმა 2019 წელს შეადგინა 55, მსმენელთა რაოდენობამ კი 489.
- ❖ 2019 წელს დამტკიცდა 16 ახალი სასერტიფიკატო და ტრენინგკურსი.
- ❖ 2019 წელს აბიტურიენტთა მოსამზადებელ განყოფილებაში სხვადასხვა პროგრამებში ემზადებოდა 244 აბიტურიენტი, რაც 46 -ით აღემატება წინა წლის მონაცემებს.
- ❖ 2019 წელს საბავშვო უნივერსიტეტის პროგრამების მრავალფეროვნება და რაოდენობა, ასევე პროგრამებში ჩართული მოსწავლეების რაოდენობა გაიზარდა 10%-ით (2018 წლის მონაცემი იყო 130 სკოლა, 9000 მოსწავლე).

სტუდენტური სერვისები და კარიერული განვითარება

2019 წლის საანგარიშო პერიოდში ცენტრის საქმიანობა დაიგეგმა და წარიმართა შემდეგი ამოცანების გადაჭრის მიმართულებით:

- ✓ საგანმანათლებლო პროგრამების დაახლოვება შრომის ბაზრის მოთხოვნებთან
- ✓ სტუდენტთა სტაჟირებისა და დასაქმების ხელშეწყობა
- ✓ კურდამთავრებულებთან სტაჟირებისა და დასაქმების მიმართულებით კომუნიკაციის გაუმჯობესება.

2019 წელს 4 ფაკულტეტის 13 საგანმანათლებლო პროგრამის დაკავშირება მოხდა შესაბამისი პროფილის კერძო და სახელმწიფო დამსაქმებლებთან, რაც გულისხმობს საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სტაჟირების კომპონენტის დაკავშირებას შესაბამისი პროფილის დამსაქმებლებთან.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატის დამამთავრებელი საფეხურის სტუდენტებისათვის საერთაშორისო აუდიტორული კომპანიები BDO და Nextia Georgia სემესტრის დასაწყისში აცხადებენ სტაჟირების პროგრამას, რომელიც შედგება თეორიული და პრაქტიკული კომპონენტებისაგან. თეორიული კომპონენტი აგებულია ერთის მხრივ შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, მეორეს მხრივ კი იმ საკითხების განსაკუთრებული აქცენტირებით, რაც სასწავლო კომპონენტში არ არის გათვალისწინებული. აღნიშნული მიდგომა დაინერგა „საქართველოს ბანკმა“ და „TBC- ბანკმა“, რომლებიც საკუთარი მიზნებიდან გამომდინარე სტაჟირების პროგრამებს აცხადებენ IT (კომპიუტერული მეცნიერებები, ელექტრონული ინჟინერია) მათემატიკის, იურდიული, ეკონომიკისა და ბიზნესის მიმართულებით.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან ერთად შემუშავდა პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს გეოლოგიის, ელექტო და ელექტრული ინჟინერიის, სამართლის მიმართულების სტუდენტების სტაჟირების

თეორიულ და პრაქტიკულ კურსს, რომელიც აღნიშნულ მიმართულებებს კიდევ უფრო დააახლოვებს შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე არქეოლოგიის, ისტორიის, კულტურის კვლევების მიმართულების სტუდენტებისათვის შესაძლებელი გახდა სხვადასხვა კერძო ტრურისტულ კომპანიებთან დაკავშირებით სტუდენტთა კარიერული განვითარების მიმართულებით პრაქტიკული კომპონენტების უზრუნველყოფა.

სტუდენტთა კარიერული განვითარების ცენტრი აქტიურად იყო ჩართული ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ორი პროგრამის (კომპიუტერული მეცნიერებები, ელექტრული და ელექტრონული ინჟინერია) ABET - ის საერთაშორისო აკრედიტაციის მოპოვების პროგრამაში. ამ მიზნით 2019 წლის 13 ნოემბერს შეხვედრა შედგა ABET-ის ექსპერტებთან, სადაც განხილული იყო პროგრამების ბაზრის მოთხოვნებთან თავსებადობა და პროგრამაზე მიღებული სტუდენტების კარიერული განვითარების შესაძლებლობები.

ცენტრი ასევე აქტიურად იყო ჩართული თსუ-ის კონტიგენტის ზრდასთან დაკავშირებით გამართულ ავტორიზაციის ჯგუფის შეხვედრაში. 2019 წლის 28 დეკემბრის შეხვედრაზე ავტორიზაციის ჯგუფის წევრებს ინფორმაცია მიეწოდა გაზრდილი კონტიგენტის პირობებში თსუ-ის პროგრამების ბაზრის მოთხოვნებთან და სტუდენტთა კარიერული განვითარების შესაძლებლობებზე.

2019 წელს მუშაობა დაიწყო საჯარო სამსახურის ბიუროსთან სახელმწიფო სტაჟირების პროგრამის შემდგომი განვითარების მიმართულებით, რაც გულისხმობს სტაჟირების იმ ტიპის პროგრამას, რომელიც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო პროგრამების ბაზრის მოთხოვნებთან დაახლოვებას.

2019 წელს შემუშავდა გეგმა, რომელიც ითვალისწინებს 2020 წლის განმავლობაში ყველა ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებთან სამუშაო ჯგუფების ჩამოყალიბებას შემდეგი მიზნების უზრუნველსაყოფად:

- ✓ სტუდენტთა კარიერული განვითარების ცენტრის შესაძლებლობები ცალკეული საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით.
- ✓ საგანმანათლებლო პროგრამების საჭიროებები დამსაქმებელთან ურთიერთობის მიმართულებით.
- ✓ პოტენციული დამსაქმებლების შესახებ ინფორმაციის ორმხრივი გაზიარება.
- ✓ დამსაქმებლებთან ურთიერთობისას წარმოქმნილი სირთულეების შესახებ ინფორმაციის გაზიარება.
- ✓ კოორდინირებული მუშაობით სტუდენტთა კარიერული განვითარების შესაძლებლობა.

აღნიშნული მიზნების მიღწევა კიდევ უფრო უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების ბაზრის მოთხოვნებთან დაახლოვებას. სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების და დასაქმების ხელშეწყობა.

2019 წლის საანგარიშო პერიოდში სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით ჩატარდა 2 დასაქმების ფორუმი. (27 მაისი, 20 ნოემბერი). სადაც წარმოდგენილი იყო 70 -მდე სახელმწიფო და კერძო დამსაქმებელი. ფორუმში მონაწილეობა მიიღო 800-ზე მეტმა თსუ-ის სტუდენტმა და კურსდამთავრებულმა. ფორუმის დასრულების შემდეგ დამსაქმებლებთან უკუკავშირით მიღებული ინფორმაციით ფორუმში მონაწილე თსუ-ის სტუდენტების და

კურსდამთავრებულთა 48 % სტაჟირება ან მუშაობა დაიწყო სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებებში.

2019 წელს სტუდენტთა კარიერული განვითარების ცენტრის და სხვადასხვა კერძო და საჯარო სამსახურის მიერ გამოცხადებული იყო 12 სტაჟირების პროგრამა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 1249 სტუდენტმა და კურსდამთავრებულმა. სტაჟირების პროგრამის დასრულების შემდეგ დასაქმდა სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა 39 %.

სტუდენტთა დასაქმებისა და კარიერული განვითარების მიზნით 2019 წელს გაფორმდა 6 მემორანდუმი. 2 ქიმიისა და ბიოქიმიის მიმართულების სტუდენტებისათვის კარიერული განვითარების მიმართულებით. 2

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთათვის. 1 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან. 1 ორგანიზაცია Save The Children Georgia-თან, მემორანდუმის ფარგლებში ორგანიზაციამ უნივერსიტეტს გადასცა 5 ტრენინგმოდული (გუნდური მუშაობა, მეწარმეობა, ეფექტური კომუნიკაცია, პრობლემის გადაჭრა, TOT (ტრენინგო ტრენინგი). მემორანდუმის ფარგლებში 2019 წელს დატრენინგდა 12 თსუ-ის კურსდამთავრებული, უწყვეტი განათლების, ინოვაციების ცენტრის და კარიერული ცენტრის თანამშრომლები. 2019 წელს ჩატარდა პილოტური ტრენინგი თსუ-ის სტუდენტებისათვის, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 15 მსმენელმა.

2019 წელს სტუდენტთა კარიერულმა ცენტრს სტუდენტების საგამოცდო პერიოდში ხელშეწყობის მიზნით პირდაპირო კომუნიკაცია ჰქონდა დამსაქმებლებთან. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დასაქმებულ სტუდენტთა უმრავლესობას (რომლებსაც სამუშაო გრაფიკის გამო გამოცდაზე გამოცხადების პრობლემა ექმნებოდათ) კარიერული ცენტრის დახმარების გარეშე ჰქონდა ურთიერთობა დამსაქმებლებთან, ამიტომ პირდაპირმა კომუნიკაციამ ამ ტიპის სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან შესაძლებლობა მოგვცა ერთის მხრივ გაგვეფართოვებინა დამსაქმებელთა სია, მეორეს მხრივ კი კარიერული ცენტრის დახმარებით დამსაქმებლებთან კომუნიკაციით მაქსიმალურად მოხერხდა სწავლის და სამუშაო პროცესის სტუდენტზე მორგება. საგამოცდო პერიოდში სულ კონტაქტი გვქონდა 483 საჯარო და კერძო დამსაქმებლებთან. ყველა დამსაქმებელს გამოცდების დაწყებამდე წინასწარ ორი კვირით ადრე ეცნობა გამოცდების ჩატარების განრიგი, ხოლო საჭიროების შემთხვევაში კონკრეტულ დამსაქმებლებთან კონკრეტული სტუდენტის ინდივიდუალური ცხრილის მიხედვით ხდებოდა საგამოცდო თარიღის კორექტირება. აღნიშნული კომუნიკაციის შემდეგ გამოცდების გადატანა სამსახურის ცნობის მიზეზით შემცირდა 60 %-ით.

სტუდენტთა სტაჟირებისა და დასაქმების მიზნით 2019 წელს სტუდენტთა კარიერული განვითარების ცენტრის მიერ გამოცხადდა 637 ვაკანსია და სტაჟირების პროგრამა. ვაკანსიების 80 %-ზე მეტი მიმართული იყო პროფილურად სტუდენტთა კარიერული განვითარებისათვის.

სტუდენტთა სტაჟირებისა და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით სტრატეგიული თანამშრომლობა განვახორციელეთ: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, ბიზნეს პალატასთან, ახალქალაქის მუნიციპალიტეტთან, „საქართველოს ბანკთან“, „თი-ბი-სი“ ბანკთან“. „საჯარო სამსახურის ბიუროსთან“, ინფრასტრუქტურის და გარემოს დაცვის სამინისტროსთან.

სტუდენტთა სტაჟირებისა და კარიერული განვითარების მიზნით 2019 წელს ყოველკვირეულად საშუალოდ უნივერსიტეტის მასშტაბით 3-4 შეხვედრა იყო ორგანიზებული, სადაც კომპანიები აქტიური ვაკანსიების შესახებ აწვდინენ ინფორმაციას თსუ-ის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს. წლის განმავლობაში ჩატარდა 74 შეხვედრა, რომელსაც საშუალოდ 2500 სტუდენტი დაესწრო.

2019 წელს სტუდენტთა კარიერული განვითარების ცენტრის მიერ შემუშავდა დამსაქმებლებთან ურთიერთობის სამუშაო გეგმა, რომელიც მიზნად ისახავს ცალკეული დამსაქმებლების მოთხოვნების და უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შესაძლებლობების გაწერა, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმებასა და კარიერულ განვითარებას. სამოქმედო გეგმა გულისხმობს 2020 წლის სექტემბრამდე თსუ-ის კარიერული განვითარების ცენტრთან კომუნიკაციაში მყოფ დამსაქმებლებთან ინდივიდუალურ და ჯგუფურ სამუშაო შეხვედრებს.

სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან კარიერული განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით კომუნიკაციის გაუმჯობესება.

2019 სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან კარიერული განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით კომუნიკაციის გაუმჯობესებისათვის განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- ✓ დასაქმების ონლაინ პლატფორმა worco თანამშრომლობა - worco არის საქმიანი ელექტრონული პლატფორმა, სადა თსუ-ის სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს შესაძლებლობა აქვთ გააქტიურონ საკუთარი პროფილი, ატვირთონ წინასწარ გამზადებული CV დამათი კვალიფიკაციიდან გამომდინარე ვაკანსიები ავტომატურად გენერირდება სტუდენტების პროფილზე. საიტის სატესტო რეჟიმში მუშაობის მიუხედავად აღნიშნული სერვისის შესახებ შეტყობინება გაეგზავნა 50729 სტუდენტსა და კურსდამთავრებულს, რომელთა 12% დაიწყო სისტემის აქტიური გამოყენება.
- ✓ მიმდინარე ვაკანსიების, სტაჟირების პროგრამების და კარიერული განვითარებისათვის მიმართული ტრენინგების შესახებ ინფორმაციის სისტემატური მიწოდება - სტუდენტთა კარიერული განვითარების ცენტრმა 2019 წელს lms.tsu.ge -ზე სტუდენტთა შეტყობინებებში გაგზავნა 600-ზე მეტი აქტიური ვაკანსიის შესახებ ინფორმაცია პროფილურად ფაკულტეტების მიხედვით ყველა საფეხურის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთათვის. სოციალურ ქსელში ცალკეულ ვაკანსიებზე წვდომა საშუალოდ ჰქონდა 3500-4000 მომხმარებლებს, რომელთა ასაკობრივი კლასტერის გაანალიზებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მიმდინარე ვაკანსიების შესახებ ინფორმაციას ეცნობოდნენ როგორც აქტიური სტუდენტები, ისე კურსდამთავრებულები. Sms სერვისის გამოყენებით წლის განმავლობაში თსუ-ის სტუდენტებისათვის გაიგზავნა 100 000 მოკლე ტექსტური შეტყობინება, რომელიც სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს ინფორმაციას აწვდიდა მიმდინარე ვაკანსიების, სტაჟირებების, დასაქმების ფორუმების თუ დამსაქმებლებთან შეხვედრის შესახებ.
- ✓ სტუდენტებთან ეფექტური კომუნიკაციისთვის 2019 წელს აქტიურად თანამშრომლობდით ფაკულტეტებზე ადმინისტრაციის თანამშრომლებთან. განსაკუთრებით შედეგიანი იყო ზუსტ და საბუნებისმეტყველო, ეკონომიკისა და

ბიზნესის და საოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტთან თანამშრომლობა, რომელიც გულისხმობდა სტუდენტების დამსაქმებლებთან შეხვედრის ორგანიზებას და პროფილური ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას.

სტუდენტთა საკონსულტაციო და კარიერის განმავითარებელი სერვისების შესაძლებლობების გაუმჯობესება

სტუდენტთა ტუტორინგის პროგრამა- ჩართული იყო დაახლოებით 1200 სტუდენტი. სტუდენტებმა მიიღეს ინფორმაცია უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის ზოგადი წესების, სტუდენტური ცხოვრების და მათი კარიერული განვითარებისათვის საჭირო ინფორმაციების და სერვისების შესახებ. 2019 წლის ნოემბრიდან აქტიურად დაიწყო ინდივიდუალური და ჯგუფური საკონსულტაციო შეხვედრები სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, სადაც ინდივიდუალურად განიხილებოდა კარიერის დაგეგმვის შესაძლებლობები.

2019 წლის ბოლოს elearning.tsu-ს პლატფორმის შესაძლებლობების გათვალისწინებით შემუშავდა ონლაინ კონსულტაციის სამოქმედო გეგმა, რომელიც ჩაშლილია როგორც ცალკეული საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით, ასევე ზოგადად კარიერული განვითარების ე.წ. „გამჭოლი უნარების“ განვითარებისათვის.

2019 წელს სტუდენტთა კარიერული განვითარებისთვის არსებულ 2 ტრენინგმოდულს დაემატა 4 ახალი მოდული. ამ მიზნით გადამზადდა როგორც კარიერული განვითარების

ცენტრის პერსონალი, ასევე მოხალისე კურსდამთავრებულები, რომლებსაც ვალდებულება აქვთ უახლოესი 2 წლის განმავლობაში რამოდენიმე ტრენინგკურსი ჩაატაროს თსუ-ის სტუდენტებისათვის.

საერთო საცხოვრებლის სერვისები:

2019 წელს საერთო საცხოვრებელში არსებული 560 ადგილიდან უზრუნველყოფილი იყო დაკავებული იყო 456 ადგილი. (ბაგების საერთო საცხოვრებელი -270 ადგილი, ლისის საერთო საცხოვრებელი -168, სტუმარი (პროფესორი ან სხვა მიზნით) -42, თავისუფალი ადგილები 80). სოციალურად მოწყვლადი ჯგუფებისათვის სტუდენტების შინაგანაწესის მიხედვით გათვალისწინებული შეღავათებით ისაგებლა სტუდენტებში მცხოვრები სტუდენტების 42 %-მა. (სოციალურად გაჭირვებული, მშობლების ან/და ერთ-ერთი მშობლის გარდაცვალება). ბაგების საერთო საცხოვრებელში რეაბილიტირება ჩაუტარდა საერთო სანიტარულ კვანძებს და ცალკეულ ოთახებს. ლისის საერთო საცხოვრებელში მე-3 კორპუსის სრული დატვირთვით ამოქმედებისათვის (კორპუსი საჭიროებს საცხოვრებლად საჭირო ავეჯს) განისაზღვრა ფინანსები და შემუშავდა თანხების მობილიზების გეგმა, რომელიც ეტაპობრივად განხორციელდება 2020 წლიდან. 2019 წელს ლისის საერთო საცხოვრებელში დაიგეგმა ბიბლიოთეკის შექმნა, რომელიც რესურსცენტრთან ერთად სტუდენტისთვის მაქსიმალურად უზრუნველყოფს ეფექტურ სერვისს.

საგარეო ურთიერთობები

- ❖ გაფორმდა/განახლდა ინსტიტუციონალური თანამშრომლობის 36 ხელშეკრულება;
- ❖ 2დასაფინანსებლად წარდგენილ იქნა 129 საპროექტო განაცხადი;
- ❖ დეპარტამენტმა ადმინისტრირება გაუწია 109 საერთაშორისო პროექტს (Key Action 1: ICM -104, Key Action 2, CBHE - 5);
- ❖ ჩატარდა გაცვლითი და საერთაშორისო სასწავლო პროგრამების შესახებ ცნობადობის ამადლების 420-ზე მეტი აქტივობა (განცხადებების განთავსება ვებზე, საინფორმაციო დღეები, დაინტერესებული პირებისთვის კონსულტაციის გაწევა);
- ❖ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ორგანიზებულ იქნა თსუ-ის სტუდენტებისა და პერსონალის შესარჩევი 53 კონკურსი
- ❖ თსუ-ის გაცვლითი სტიპენდია უცხოეთში მობილობისთვის გაიცა 209 სტუდენტსა და 98 პერსონალზე;
- ❖ თსუ-ში გაცვლითი პროგრამით მიღებულ იქნა 82 უცხოელი სტუდენტი და 97 უცხოელი პერსონალი [58 აკადემიური, 39 ადმინისტრაციული];
- ❖ ორგანიზებულ იქნა პერსონალის მე-3 საერთაშორისო კვირეული;
- ❖ ჩატარდა 6 საპატიო დოქტორის მინიჭების ცერემონიალი და გატარდა 2 საპატიო სტუმარისთვის დისტანციურად მინიჭების ღონისძიება;
- ❖ ორგანიზებულ იქნა 2 საზაფხულო სკოლა;
- ❖ ჩატარდა 65 საჯარო ლექცია;
- ❖ ორგანიზებულ იქნა 44 მივლინება საზღვარგარეთ;
- ❖ მასპინძლობა გაეწია 100 უცხოური დელეგაციის ვიზიტს თსუ-ში;
- ❖ მომზადდა/დამუშავდა 10000-ზე მეტი წერილობითი კორესპონდენცია;
- ❖ ხელი შეეწყო საქართველოს შემსწავლელი 3 ცენტრის დაარსებას საზღვარგარეთ;
- ❖ უზრუნველყოფილ იქნა უცხოური კულტურულ-საგანმანათლებლო 5 ცენტრის ფუნქციონირება თსუ-ში;
- ❖ სხვადასხვა პროექტის ფარგლებში მომზადდა 20 შემაჯამებელი ანგარიში;
- ❖ მოწვეულ იქნა 6 გრძელვადიანი უცხოელი [native speaker] მასწავლებელი თსუ-ში.

შიდა აუდიტის სამსახური

- ❖ განხორციელდა საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული შემოწმებების შედეგად გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის ანალიზი და მონიტორინგი;
- ❖ განხორციელდა თსუ-ის თანამშრომელთა პირადი საქმეების წარმოების შესწავლა;
- ❖ შესწავლილი იქნა საგრანტო პროექტების ფარგლებში შეძენილი ქონების (პორტაბელური კომპიუტერი (ლეპტოპი)) გამოყენების და აღრიცხვის მდგომარეობა;
- ❖ შესწავლილი იქნა თსუ-ის სალარო ოპერაციების წარმოების მდგომარეობის და სალაროში არსებული ფულადი სახსრების მოძრაობა;
- ❖ შესწავლილი იქნა 2018 წელს თსუ-ის მიერ გაწეული სამივლინებო თანხების ხარჯვის ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობა;
- ❖ შემოწმებული იქნა თსუ-ის უწყვეტი განათლების ცენტრში აბიტურიენტთა მიღებისას გასაფორმებელი დოკუმენტებისა და სწავლის საფასურის გადახდის შესაბამისობა მარეგულირებელ სამართლებრივ აქტებთან. მომზადებულია მოხსენებითი ბარათის პროექტი. საბოლოო ანგარიში წარდგენილი იქნება მიმდინარე წლის თებერვლის ბოლოსათვის;
- ❖ შესწავლილი იქნა სატრანსპორტო საშუალებების ექსპლოატაციის ხარჯები;
- ❖ შესწავლილი იქნა მოწვეული აკადემიური პერსონალის (პედაგოგების) სავალდებულო საათობრივი დატვირთვის შესრულების მდგომარეობა;
- ❖ განხორციელდა თსუ-ის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დავალებების და სხვა მიმდინარე საკითხების შესწავლა.

უნივერსიტეტის გამომცემლობა

გამომცემლობამ უზრუნველყო:

- ❖ შემოსული მასალის ბეჭდვა ან ელექტრონულად გამოცემა.
- ❖ საერთაშორისო დონის 4 ახალი ნათარგმნი სახელმძღვანელოს გამოცემა:
 - ✓ საერთაშორისო ეკონომიკა (თეორია, პრქატიკა) სახელმძღვანელო;
 - ✓ საერთაშორისო ეკონომიკა (თეორია, პრქატიკა) გზამკვლევი;
 - ✓ მენეჯერული ეკონომიკა;
 - ✓ შედარებითი საჯარო პოლიტიკა
- ❖ უნივერსიტეტის პოპულარიზაციისთვის საიმიჯო წიგნების შექმნა:
 - ✓ სამედიცინო განათლება უნივერსიტეტში;
 - ✓ სულიკო მსოფლიო ხალხთა ენებზე;
 - ✓ უნივერსიტეტი.

- ❖ თბილისის წიგნის XXI საერთაშორისო ფესტივალზე მონაწილეობა

მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

- ინფრასტრუქტურის სააგენტოს დაფინანსებული თანხებით შესრულებული სარემონტო სამუშაოები
 - ❖ თსუ მე-2 კორპუსში 2019 წლებში ჩატარდა გადახურვის, ფასადის, სანიტარული კვანძების, გათბობის სისტემის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები, არსებული ფანჯრები შეიცვალა მეტალო პლასტმასის ფერადი ფანჯრებით-1 229 180ლარი.
 - ❖ აგლადის არაორგანული ქიმიის და ელექტროქიმიის ინსტიტუტში 2019 წელს ჩატარდა ლაბორატორიული კორპუსის სამუშაო ოთახების სარემონტო სამუშაოები-90 625 ლარი.
 - ❖ თსუ პროფესიული სწავლების ცენტრის თბილისის ფილიალში 2019 წელს ჩატარდა მე-2 სართულის სარემონტო სამუშაოები, ფასადის ვიტრაჟები შეიცვალა იზო-ალუმინის ვიტრაჟებით, შესრულდა გათბობის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები- 114 639 ლარი.
 - ❖ თსუ პროფესიული სწავლების ცენტრის ქუთაისის ფილიალში ჩატარდა სამი მხრიდან შენობის ფასადის რეაბილიტაციის სამუშაოები, პირველი სართულის აუდიტორიების და ოთახების სარემონტო სამუშაოები. აშენდა საქვების შენობა, მოეწყო პირველი და მეორე სართულის გათბობის სისტემა-268 293 ლარი.
- უნივერსიტეტის ეკონომიკური შემოსავლებით შესრულებული სარემონტო სამუშაოები
 - ❖ თსუ-ს პირველ კორპუსის მიმდებარედ ბაზალტის ქვებით მოკირწყლული ეზოს მოსაპირკეთებელი სამუშაოების და წყალსადენი მილების სარეაბილიტაციო სამუშაოები-46 358 ლარი;
 - ❖ თსუ ბიბლიოთეკის შენობაში გარემონტდა საგამოცდო ცენტრის ფართები, მოეწყო ცოდნის გადაცემის ცენტრის ფართი, გარემონტდა სამკითხველო დარბაზები, ჩატარდა კიბისა და ბაქნების სარეაბილიტაციო სამუშაოები, ჩატარდა ფასადის ნაწილობრივი რეაბილიტაცია-128 845 ლარი;
 - ❖ თსუ მე-3 კორპუსში ჩატარდა მიმდებარე ეზოს და საქვების გადახურვის სარეაბილიტაციო სამუშაოები.
 - ❖ თსუ მე-5 კორპუსში ჩატარდა გადახურვის ნაწილობრივი რეაბილიტაცია და თსუ მე-11 (ბიოლოგების) კორპუსში ჩატარდა გადახურვის ნაწილობრივი რეაბილიტაცია,

- მე-3, მე-5 და მე-6 სართულების დერეფნების იატაკებზე მოეწყო კერამოგრანიტის ზედაპირი.-240 557 ლარი;
- ❖ **თსუ მე-2 სასწავლო კორპუსში** გარემონტდა 144-ე ოთახი, ნაწილობრივ გარემონტდა ბირთვული ფიზიკის ლაბორატორია.
 - ❖ **თსუ მე-10 (მალღვი)** სასწავლო კორპუსში პირველი სართულის ფოიეს ჩაუტარდა რემონტი, ჩატარდა მიმდებარე ეზოს ბაზალტის ზედაპირის ნაწილობრივი რეაბილიტაცია, ჩატარდა ხანძარსაწინააღმდეგო მილსადენების, სახანძრო კარადების და სატუმბი სადგურის რეაბილიტაცია.-357 083 ლარი;
 - ❖ **ბაგების სტუდენტთა** ჩატარდა სანკვანძების ნაწილობრივი რეაბილიტაცია.
 - ❖ **ტურიზმის სკოლაში** ჩატარდა გარე კანალიზაციის სარეაბილიტაციო სამუშაოები.
 - ❖ **თსუ მე-7 კორპუსში** ჩატარდა არსებული სტადიონის მოედნის საფარის რეაბილიტაცია-56 396 ლარი;
 - ❖ **თსუ ფიზიკის ინსტიტუტში** ჩატარდა მუხათგვერდის რეაქტორის დაზიანებული ღობის რეაბილიტაცია, არსებული ლიფტის რეაბილიტაციის სამუშაოები-26155 ლარი;
 - ❖ **ქუთაისის პროფესიული განათლების სასწავლო ცენტრის** საქვების ბუნებრივი აირით მომარაგების მიზნით ჩატარდა სასწავლო ცენტრის საზღვრამდე მილსადენის მოყვანის და მრიცხველის მონტაჟის სამუშაოები.-11500 ლარი
 - ❖ **ა. ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტში** მოეწყო შშმ პირებისათვის ადაპტირებული ლიფტი. 323 333 ლარი;
 - ❖ მომზადდა **ჰიდროლოგიური ლაბორატორიის შენობის** და მიმდებარე ტერიტორიის პროექტი 39 112 ლარი.
 - **სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების საბიუჯეტო დაფინანსებით ჩატარებული სამუშაოები**
 - ❖ **ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის და მიხეილ ნოდის გეოფიზიკის ინსტიტუტში** ჩატარდა ძირითადი კორპუსის ოთახების და დერეფნების სარემონტო სამუშაოები, ასევე თერმო-ბარო კამერის (კოშკი) სარემონტო სამუშაოები-105 423 ლარი
 - ❖ **ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში** ჩატარდა ოთახების და დარბაზების სარემონტო სამუშაოები, გათბობის და ვენტილაციის სარეაბილიტაციო სამუშაოები. ბიბლიოთეკის ზამთრის ბაღის გათბობა-გაგრილების სისტემების მონტაჟი-148 955 ლარი;
 - ❖ **პეტრე მელიქიშვილის ორგანული ქიმიის ინსტიტუტში** ჩატარდა სამუშაო ოთახების, ლაბორატორიების, დერეფნების სარემონტო სამუშაოები, გარე კანალიზაციის სარეაბილიტაციო სამუშაოები-63 868 ლარი;
 - ❖ **რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიის ინსტიტუტში** ჩატარდა ადმინისტრაციული და ლაბორატორიული შენობების ოთახების სარემონტო სამუშაოები-13 661 ლარი.
 - ❖ **შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში** ჩატარდა ქართული ლიტერატურის ოთახების სარემონტო სამუშაოები-3449 ლარი;
 - ❖ **ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში** ჩატარდა ეთნოლოგიის მუზეუმის გათბობის სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოები-
 - ❖ **ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტში** ჩატარდა ადმინისტრაციული კორპუსის შიდა სარემონტო სამუშაოები, გარე კანალიზაციის ჭების გაწმენდის სამუშაოები, შემოღობვის სამუშაოები- 13549 ლარი;

- ❖ თინათინ წერეთლის სახელმწიფოს და სამართლის ინსტიტუტში ჩატარდა გადახურვის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ხის კონსტრუქციების ხანძარსაწინააღმდეგო ხსნარით დამუშავების და ფანჯრების გისოსების რეაბილიტაციის სამუშაოები.
- ❖ მაღალი ენერჯიების ფიზიკის ინსტიტუტი-11505 ლარი;
- ❖ ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი-63 997 ლარი;

საინფორმაციო ტექნოლოგიები

- ❖ განხორციელდა პლაგიატის საწინააღმდეგო პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვის მიზნით საჭირო მოსამზადებელი სამუშაოები.
- ❖ აღნიშნული პროექტი ხორციელდება „ერასმუს+“-ის ფარგლებში და 2019 წლის განმავლობაში განხორციელდა საინფორმაციო ტექნოლოგიების თანამშრომლის/ების (ვთანამშრომელი)დატრენინგება სესაბამისი სისტემის მოხმარებისა და ადმინისტრირების მიმართულებით.
- ❖ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის კომპიუტერული ტექნიკა განახლდა ახალი ტექნოლოგიით „თხელი კლიენტები“ და გაეშვა ექსპლუატაციაში (80 ერთეული)
- ❖ ჩატარდა აკადემიური პერსონალის ტრენინგი ელექტრონული კურსების მოხმარებისა და შექმნის მიმართულებით: „ელექტრონული კურსის შექმნა და მართვა“ (69 პედაგოგი)
- ❖ უზრუნველყოფილ იქნა უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტებისათვის უწყვეტი ინტერნეტის მიწოდება.
- ❖ ჩატარდა სასწავლო პროცესის მართვის სისტემების გაერთიანებასთან დაკავშირებით დამატებითი ტრენინგები ფაკულტეტების თანამშრომლებისთვის.
- ❖ განხორციელდა ცენტრალურ ადმინისტრაციასა და ფაკულტეტებზე არსებული კომპიუტერული ტექნიკის გეგმიური მონიტორინგი.

სასწავლო პროცესის მართვა

სასწავლო პროცესის მართვის განყოფილება 2019 წლის განმავლობაში თავისი კომპეტენციის ფარგლებში ასრულებდა საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით დაკისრებულ მოვალეობებს. თანამშრომლობდა როგორც თსუ-ს შიდა სტრუქტურებთან, ასევე სხვადასხვა სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებებთან. კოორდინირებულად მუშაობდა თსუ-ს ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების სასწავლო პროცესის მართვის სამსახურებთან. განყოფილება მჭიდროდ თანამშრომლობდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან, სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრთან, სსიპ - საინფორმაციო მართვის სისტემასთან.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს ეგზავნებოდათ პასუხები მოთხოვნილ ინფორმაციაზე. ასევე, ეგზავნებოდათ უნივერსიტეტში გამოცემული სამართლებრივი აქტები. სსიპ - საინფორმაციო მართვის სისტემას დასკვნისათვის მიეწოდა მობილობის წესით სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ ბრძანების პროექტები.

მომზადდა საუნივერსიტეტო მნიშვნელობის ბრძანებები: სასწავლო პროცესის ვადების განსაზღვრის შესახებ, მობილობისა და შიდა მობილობის ვადებისა და წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხის განსაზღვრის შესახებ, კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩარიცხულ სტუდენტთა პირადი საქმისგახსნის შესახებ, მაგისტრატურაში და დოქტორანტურაში მიღების გამოცხადების შესახებ, რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომის შემდგომ (პროფესიული მზადება) საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების გამოცხადების შესახებ, ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე პირთათვის საბაკალავრო/დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამებზე გამოცდების ჩატარების ვადების განსაზღვრის შესახებ, მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის სასწავლო პროცესის ვადების განსაზღვრის შესახებ, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე სასწავლო პროცესის ვადების განსაზღვრის შესახებ და სხვ.

უნივერსიტეტმა უზრუნველყო 2019-2020 სასწავლო წლისათვის „სტუდენტების გზამკვლევის“ (საინფორმაციო ბროშურა), „დოქტორანტების გზამკვლევის“ შემუშავება, თსუ ვებგვერდისთვის

სხვა საცნობარო მასალის მომზადება. მოიძია და დაამუშავა სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაცია შიდა და გარე მობილობაში მონაწილეობის მსურველ სტუდენტთათვის, პირველსემესტრელ ბაკალავრებისათვის, მაგისტრანტობისა და დოქტორანტობის კანდიდატებისათვის, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთათვის, მასწავლებლის მომზადების პროგრამაზე ჩასარიცხ აპლიკანტთათვის.

განყოფილება მუდმივად უწყვედა კონსულტაციებს სტუდენტებს. ასევე, ემსახურებოდა ონლაინ რეჟიმში (დეპარტამენტის ოფიციალური ელფოსტის და სოციალური ქსელის მეშვეობით) სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე. პასუხობდა როგორც განყოფილებაში არსებულ ქალაქის ტელეფონებზე, ასევე ცხელ ხაზზე შემოსულ ზარებს. განყოფილებათვის კომპეტენციის ფარგლებში განახორციელა ფაკულტეტებზე სტუდენტების (მაგისტრანტები/დოქტორანტები) პირადი საქმეების კონტროლი.

სასწავლო პროცესის მართვის განყოფილებამ მოამზადა ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებთან, ბაკალავრებთან, მაგისტრანტებთან, დოქტორანტებთან, რეზიდენტებთან, პროფესიულ სტუდენტებთან, მასწავლებლის მომზადების პროგრამაზე ჩარიცხულ პირებთან გასაფორმებელი ხელშეკრულებები.

სასწავლო პროცესის მართვის განყოფილებამ 2019 წლის მდგომარეობით განიხილა და რეაგირება მოახდინა 4 579 კორესპონდენციაზე; საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად მომზადდა უნივერსიტეტის

სამართლებრივი აქტების პროექტები - 1 160. ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე აკადემიურ უმაღლეს/პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტების, მაგისტრანტობისა და დოქტორანტობის კანდიდატთა, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე, ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სკოლისშემდგომი განათლებისათვის მომზადების პროგრამაგავლილი პირების, 2019 წელს ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის დარეგისტრირებული, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირების ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხვის, რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ (პროფესიული მზადება) საგანმანათლებლო პროგრამებზე, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულების ფაკულტეტებზე ჩარიცხვის თაობაზე; მობილობისა და შიდა მობილობის წესით სტუდენტთა ჩარიცხვის თაობაზე, მასწავლებლის მომზადების პროგრამაზე აპლიკანტთა ჩარიცხვის თაობაზე; საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანებების საფუძველზე ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდის გავლის გარეშე აკრედიტებული პროგრამით სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების უნივერსიტეტში ჩარიცხვის თაობაზე, სტუდენტის სტატუსის განმსაზღვრელი (შეჩერება, შეწყვეტა, აღდგენა, დამატებითი სემესტრი), რექტორის მიერ გამოცემულ ყველა ოფიციალურ დოკუმენტში ტექნიკური შეცოდების გასწორებისა და ცვლილებების, ასევე სტუდენტების სახელის/გვარის შეცვლის გამო უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ (შექმნილ) ყველა ოფიციალურ დოკუმენტში ცვლილების შეტანის თაობაზე; კურსდამთავრებულთა სახელზე დიპლომის გაცემის თაობაზე; საქართველოსა და უცხოეთის უსდ- ში მიღწეული აღიარებული კრედიტების საფუძველზე სემესტრის განსაზღვრის თაობაზე.

განყოფილებამ მოამზადა 1 594 წერილი, ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ (გავლილი სასწავლო კურსებისა და კრედიტების მითითებით) – 324, ცნობად იქნა მიღებული 126 წერილი.

სტუდენტთა მომსახურების განყოფილება აქტიურად თანამშრომლობდა საერთაშორისო საგანმანათლებლო ქსელ - ENIC/NARIC-თან, უცხოეთის ქვეყნების სტრატეგიული საინფორმაციო რესურსების ორგანიზაციებთან, უცხოეთის საგანმანათლებლო დოკუმენტების გადამოწმების სახელმწიფო სააგენტოებთან, ინფორმაციისა და დოკუმენტაციის ნაციონალურ ცენტრებთან, უცხოეთის სხვადასხვა უნივერსიტეტების საერთაშორისო განყოფილებებთან და სხვ. ~

დამზადდა:

- ❖ დიპლომი – 3628 ცალი
- ❖ დიპლომის დუბლიკატი – 167 ცალი
- ❖ დიპლომის შეცვლა - 221 ცალი
- ❖ მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატი - 56 ცალი
- ❖ დიპლომის დანართის შეცვლა - 180 ცალი
- ❖ კურსმოსმენილის მოწმობა - 8 ცალი
- ❖ რეზიდენტურის მოწმობა - 35 ცალი
- ❖ ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ პროფესიათა ფაკულტეტის მეორადი სწავლების სერტიფიკატი – 5 ცალი
- ❖ პედაგოგიკის სერტიფიკატი - 3 ცალი

- ❖ დაამზადა ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა სერტიფიკატი – 284 ცალი
- ❖ დაამზადა ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა სერტიფიკატის დუბლიკატი - 9 ცალი
- ❖ სხვადასხვა სახის ცნობა – 500 ცალი
- ❖ დამზადდა და არქივსა და ფაკულტეტებს გადაეცათ შეცვლილი დიპლომებისა და დიპლომის დუბლიკატის ასლები თანდართული დოკუმენტებით -406 ცალი
- ❖ კურსდამთავრებულთა პირადი საქმისთვის დამზადდა და ფაკულტეტებს გადაეცათ 300 ცალი დიპლომის ასლი;
- ❖ უმაღლესი და პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტების დიპლომისა და პროფესიული დიპლომის, უმაღლესი დაპროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტების - დიპლომისა და პროფესიული დიპლომის ნამდვილობის დადასტურების მიზნით დამზადდა და გაიგზავნა:

- ❖ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში – 450 კორესპონდენცია
- ❖ სხვადასხვა ორგანიზაციებსა და უწყებებში - 473 კორესპონდენცია
- ❖ სხვადასხვა ქვეყნის საელჩოებში – 65 კორესპონდენცია
- ❖ სხვადასხვა ქვეყნის ორგანიზაციებში – 80 კორესპონდენცია
- ❖ მოქალაქეებს გაეგზავნათ -45 კორესპონდენცია
- ❖ თსუ სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებში გაიგზავნა – 1800 შუალედური კორესპონდენცია

სტუდენტთა რეესტრის წარმოების განყოფილება საგანმანათლებლო რეესტრის წარმოების მიზნით აქტიურად თანამშრომლობდა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან და საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაბამის სტრუქტურებთან. 2019 წელს განყოფილებაში შემოვიდა 690 კორესპონდენცია და უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან კოორდინირებული მუშაობის საფუძველზე მომზადდა წერილები. განყოფილების მიერ მომზადდა და უნივერსიტეტის გარეთ გაიგზავნა 883 წერილი/დოკუმენტი, მათ შორის 637 სტუდენტისთვის მომზადდა ფორმა 26 - ჯავშანი სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვეული სტუდენტებისთვის, ხოლო შიდა საუნივერსიტეტო სტრუქტურულ ერთეულებთან გაიგზავნა 115 წერილი/დოკუმენტი.

განყოფილებამ განახორციელა 2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრსა და 2019- 2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პირთა შესახებ საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში წარმოების წესით გათვალისწინებული ინფორმაციის შეტანა-განახლება. აღნიშნული ინფორმაციის შეტანა მოხდა თსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაშიც (lms.tsu.ge).

განყოფილებამ საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში დააფიქსირა 2019 წელს უნივერსიტეტში ჩარიცხული 7802 სტუდენტის (5248 ბაკალავრიატის საფეხურზე, 482 - ერთსაფეხურიანი სამედიცინოს

საფეხურზე, 1295 მაგისტრატურის საფეხურზე, 334 დოქტორანტურის საფეხურზე, 363 - ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე,

80 - მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე) სტატუსი და შეიტანა ჩარიცხვის თაობაზე გამოცემული რექტორის ბრძანებები. იგივე პროცედურა განხორციელდა აღნიშნული რაოდენობის სტუდენტზე თსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში (lms.tsu.ge).

2019 წლის განმავლობაში სტუდენტთა რეესტრის წარმოების განყოფილებამ:

- ❖ უზრუნველყო 1300-მდე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დაფიქსირება როგორც საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში, ასევე თსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში.
- ❖ უზრუნველყო 2019 წელს თსუ-ში გარე მობილობის წესით სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ჩარიცხული 675 სტუდენტის (2018-2019 ს/წლის გაზაფხულის სემესტრში -191 სტუდენტის, ხოლო 2019-2020 ს/წლის შემოდგომის სემესტრში - 484 სტუდენტის) შესახებ ინფორმაციის ასახვა საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში და თსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში (lms.tsu.ge).
- ❖ უზრუნველყო 2019 წელს თსუ-ში დოქტორანტურის საფეხურზე ჩარიცხული 334 სტუდენტის და მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული 80 სტუდენტის შესახებ დოკუმენტაციის მომზადება და დამატება საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში.
- ❖ უზრუნველყო 2019 წელს თსუ-ში ჩარიცხული ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხული 404 (155 - ბაკალავრიატის საფეხურზე, 216 - ერთსაფეხურიანი სამედიცინო საფეხურზე, 31 - მაგისტრატურის საფეხურზე, 2 ქართულ ენაში მომზადების საფეხურზე) სტუდენტის შესახებ დოკუმენტაციის მომზადება და ინფორმაციის ასახვა საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში, ასევე თსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში.
- ❖ უზრუნველყო 2019 წელს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში ინფორმაციის ასახვა 680 სტუდენტის (2018-2019 ს/წლის გაზაფხულის სემესტრში - 363 სტუდენტის, 2019-2020 ს/წლის შემოდგომის სემესტრში - 317 სტუდენტის) თაობაზე, რომელთაც შიდა მობილობის წესით შეიცვალეს პროგრამა. იგივე ინფორმაცია აისახა თსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის სისტემაშიც.
- ❖ უზრუნველყო 2019 წელს თსუ-დან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასული 854 (2018-2019 ს/წლის გაზაფხულის სემესტრში თსუ-დან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასული 219 სტუდენტი, 2019-2020 ს/წლის შემოდგომის სემესტრში - 635 სტუდენტი) სტუდენტის თაობაზე ინფორმაციის ასახვა საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში და თსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში.
- ❖ დასკანერდა და საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში აიტვირთა 4342 (მათ შორის 74 დოქტორანტის, 1050 მაგისტრის და 3218 ბაკალავრის) დიპლომი. 3038 (მათ შორის 74 დოქტორის, 1050 მაგისტრის და 1914

- ბაკალავრის) დიპლომი და დიპლომის დანართი აიტვირთა სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში (lms.tsu.ge).
- ❖ თსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში (lms.tsu.ge) აიტვირთა 1400-მდე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასკანერებული ვერსია.
 - ❖ უზრუნველყო (2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის და 2019-2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრებში) განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გადმოგზავნილ სახელმწიფო დაფინანსების მიღების უფლების მქონე სტუდენტთა სახელობით სიაში უზუსტობების აღმოჩენა მისი კორექტირების მიზნით.
 - ❖ განახორციელა (2018-2019 ს/წლის გაზაფხულის სემესტრში და 2019-2020 ს/წლის შემოდგომის სემესტრში) პრიორიტეტულ პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობების მიხედვით ცალკეულ პროგრამებზე არსებული ვაკანსიების განსაზღვრა და დასაფინანსებელი სტუდენტების სიის ფორმირება.
 - ❖ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის პორტალზე (www.naec.ge) ანკეტა-კითხვარის შესაბამისად ასახულ იქნა სრული ინფორმაცია თსუ-ში მაგისტრატურის საფეხურზე არსებული პროგრამებისა და ამ პროგრამებზე ჩარიცხული პირების (1295 სტუდენტის) შესახებ.
 - ❖ დაამუშავა სხვადასხვა სახის სტატისტიკური მონაცემები და მიაწოდა როგორც უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებს, ასევე სხვადასხვა ორგანიზაციებსა თუ არასამთავრობო დაწესებულებებს
 - ❖ საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს გადაუგზავნა ყოველწლიური სტატისტიკური გამოკვლევის ელექტრონული კითხვარები - „მონაცემები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობის შესახებ“ (ფორმა N7-3-1) და „მონაცემები დოქტორანტების მომზადების შესახებ“ (ფორმა N7-3-2).
 - ❖ თაიმსის მსოფლიო უნივერსიტეტების რანჟირების სისტემაში მონაწილეობის მისაღებად მომზადდა ყოველწლიური სტატისტიკური ინფორმაცია როგორც სტუდენტების, ასევე კურსდამთავრებულთა რაოდენობების შესახებ სხვადასხვა მიმართულებების ჭრილში.
 - ❖ სამხედრო აღრიცხვიანობის მოწესრიგებისა და გაწვევის ორგანიზებულად წარმართვისათვის საქართველოს სხვადასხვა ქალაქების მიხედვით მუნიციპალიტეტებს მათი მოთხოვნის შესაბამისად გადაეგზავნა ინფორმაცია ვაჟი სტუდენტების სტატუსის შესახებ, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის ან შეჩერების შესახებ.
 - ❖ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შესაბამისი სამსახურისთვის მომზადდა და გადაეცა პირველ კურსზე ჩარიცხული ვაჟი სტუდენტების სია (ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის საფეხურებისთვის) სამხედრო აღრიცხვიანობის და რაიონების მიხედვით.
 - ❖ მომზადდა და თავდაცვის სამინისტროს გადაეცა იმ სტუდენტთა პირადი საქმეები, რომლებმაც ინდივიდუალურად მოითხოვეს სამხედრო წოდებაზე წარდგენა.

- ❖ როგორც კერძო, ასევე იურიდიულ პირებზე ხდება სხვადასხვა სახის სტატისტიკური ინფორმაციის გაცემა მათი მოთხოვნის შესაბამისად.

სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა

- ❖ 2019 წელის მონაცემებით თსუ-მ მოიპოვა 77 პროექტი (აქედან 10 საერთაშორისო პროექტი, ხოლო სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებული კონკურსების ფარგლებში თსუ-ის მონაწილეობით დაფინანსდა 67+? პროექტი (გასათვალისწინებელია, რომ სამი კონკურსის (FR, CARYS, CNR) შედეგი არ გამოცხადებულა), შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ თსუ ამ კონკურსებში დაფინანსებულ პროექტთა დიდ ნაწილს იღებს, გამარჯვებულ პროექტთა რაოდენობა გადააჭარბებს 100):
 - ✓ ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსი (FR) - შედეგები გამოცხადდება 2020 წლის თებერვალში, სავარაუდოდ;
 - ✓ 2019 წლის გამოყენებითი კვლევების საგრანტო პროგრამა (CARYS) - შედეგები მოგვიანებით გამოცხადდება 2020 წელს;
 - ✓ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და იტალიის კვლევების ეროვნული საბჭოს (CNR) ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსი - შედეგები მოგვიანებით გამოცხადდება 2020 წელს;
 - ✓ გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2019 წლის კონკურსი (AR) – 1
 - ✓ საქართველოს საზღვრისპირა რეგიონების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსი (BRG) – 3
 - ✓ ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტები (YS) – 12
 - ✓ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის საგრანტო კონკურსი (PHDF) – 29
 - ✓ საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების კონფერენციის საგრანტო კონკურსი (GEC) – 3
 - ✓ საგამომცემლო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტები (SP) – 7
 - ✓ მობილობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების 2019 წლის საგრანტო კონკურსი (MG)
 - ✓ (ლოტი II) საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზება - 7
 - ✓ ეცნიერების პოპულარიზაციისათვის მიზნობრივი საგრანტო კონკურსი (SPG) – 1

- ✓ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის ერთობლივი „Rustaveli-DAAD“-ის სასტიპენდიო პროგრამის საგრანტო კონკურსი - 3;
 - ✓ ევროპული კვლევების საბჭოს (ERC) გრანტის სამეცნიერო ხელმძღვანელთან საქართველოს მკვლევართა სამეცნიერო სტაჟირების კონკურსი - 1
- ❖ ევროკომისიის ონლაინ პლატფორმაზე „დაფინანსების და ტენდერების პორტალი“ (Funding and Tenders Portal(ex.Participant Portal)) 2019 წელს განხორციელდა თსუ-ისოფიციალური წარმომადგენლების (Financial Signatory და Legal Signatory) დამატება/ჩანაცვლება. სათანადო დოკუმენტაცია ატვირთულია და განახლებული. ევროკომისიის ჩარჩო პროგრამების დაფინანსებით დღესდღეობით თსუ ჩართულია 12 მიმდინარე პროექტში.
 - ❖ წლის მანძილზე ჩვეულებრივ ხორციელდებოდა მიმდინარე პროექტების შუალედური/საბოლოო ანგარიშების ტექნიკური შემოწმება. პროექტების განხორციელების პერიოდში არსებული/წამოჭრილი პრობლემური ყველა საკითხის დროულად გადაწყვეტის მაჩვენებელია 100%.
 - ❖ მომზადდა და თსუ-ის ვებზე განთავსდა 1 ანგარიში: თსუ წლიური სამეცნიერო ანგარიში. ხოლო თსუ-ს აქტივობა 2019 წლის საგრანტო კონკურსებში დაიდება მოგვიანებით, მას შემდეგ, რაც სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს სამეცნიერო ფონდი გამოაცხადებს 2019 წლის ყველა საგრანტო კონკურსის შედეგებს. სულ განთავსდება 2 ანგარიში.
 - ❖ 2019 წლის განმავლობაში დოქტორანტთა ნაშრომების საერთაშორისო რეცენზირების საჭიროება არ დამდგარა.
 - ❖ სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების სამეცნიერო პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით, დეპარტამენტის მიერ, წლის განმავლობაში ჩატარდა რამოდენიმე ტრენინგი (ელექტრონული ბაზების/ბიბლიომეტრიული პლატფორმების გამოყენებაზე; შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებულ ფუნდამენტური კვლევების საგრანტო კონკურსთან დაკავშირებით; EURAXESS პორტალზე). ასევე, პერმანენტულად მიმდინარეობდა უნივერსიტეტში არსებული სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობა/მონიტორინგი. თსუ-ის ავტორობით მაღალრეიტინგულ ჟურნალებში გამოქვეყნდა 500-ზე მეტი სტატია (551, 2020 წლის 30 იანვრის მონაცემებით).

- ❖ **თსუ ბიბლიოთეკის დაკომპლექტება - დამუშავების განყოფილება** - აღირიცხა და დამუშავდა 7 370 დასახელების 11 610 საბიბლიოთეკო ერთეული. დამუშავდა დასკანერებული წიგნების 153 ცალი PDF ფაილი.
- ❖ **თსუ ბიბლიოთეკის წიგნსაცავის განყოფილება** - დაიწერა 1012 საკატალოგო ბარათი, შემოწმდა 2500 ერთეული წიგნის ინდიკატორი. ელექტრონულ კატალოგში შეიქმნა 6111 ახალი ჩანაწერი. 2000 საბიბლიოთეკო ერთეულს მიენიჭა ბარკოდი.
- ❖ **თსუ ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიის განყოფილება** - ანალიტიკურად დამუშავდა და ელექტრონულკატალოგში შევიდა 594 სტატია, საუნივერსიტეტო ჟურნალებიდან ელ. კატალოგისთვის დამუშავდა 827 სტატია. მომზადდა პეტრე მელიქიშვილის ბიბლიოგრაფია.
- ❖ **თსუ ბიბლიოთეკის პერიოდიკის განყოფილება** - დამუშავდა 792 საბიბლიოთეკო ერთეული, ელექტრონულ კატალოგში განთავსდა 560 დასახელების 1018 ერთეული ჟურნალი, დამუშავდა 299 ფოტო, შეიქმნა 2 ერთეული გაზეთის ნომრების 42 ცხრილი.
- ❖ **თსუ ბიბლიოთეკის იშვიათ გამოცემათა განყოფილება** - დამუშავდა საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ფონდის 6968 საბიბლიოთეკო ერთეული. გაკეთდა 800 ჩანაწერი ელექტრონულ კატალოგში. 3500 საბიბლიოთეკო ერთეულს მიენიჭა ბარკოდი. დაიწერა 1562 საკატალოგო ბარათი.
- ❖ **თსუ ბიბლიოთეკის ელექტრონული რესურსების განყოფილება** - 207 688 გვერდი დასკანერდა, 857 საბიბლიოთეკო დოკუმენტი აიტვირთა, ჩაიწერა 650 PDF ფაილი, დამუშავდა 8513 ფოტოფირი.
- ❖ **თსუ ბიბლიოთეკის რესტავრაციის განყოფილება** - რესტავრაცია ჩაუტარდა 832 საბიბლიოთეკო ერთეულს, აქედან 214 რარიტეტული წიგნი. გაიწმინდა 1577 ერთეული საბიბლიოთეკო დოკუმენტი. ამოიბეჭდა, ყდაში ჩაისვა და საბიბლიოთეკო დოკუმენტად მომზადდა 148 ერთეული წიგნი. აიკინძა და

ყდაში ჩაისვა გაზეთები 52 ბლოკად.

❖ **თსუ ბიბლიოთეკის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემსწავლელი ცენტრი ბიბლიოთეკა** - მომზადდა, დაიბეჭდა და პრეზენტაცია გაიმართა მამია ბერიშვილის მოგონებების წიგნის „რკინის რიდე“, გამოიცა და პრეზენტაცია გაიმართა წიგნი-ალბომის „ადგილობრივ თვითმმართველობათა არჩევნები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში“. დასაბეჭდად მომზადდა მამია და ქრისტინე ბერიშვილების კოლექციის კატალოგი, დასაბეჭდად მომზადდა. „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ქრონიკები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ) პერიოდში“. გაიმართა ორი სტუდენტური კონფერენცია, გაიმართა 1 გამოფენა და საჯარო ლექცია: „ქართველი ხელოვანები - დამფუძნებელი კრება 100“.

❖ **ინფორმაციული კვლევის განყოფილება** - 250 ერთეული ახალი გამოცემის მოძიება/პოპულარიზაცია, დამუშავდა 865 სასწავლო კურსის სილაბუსი, მოძიებულ იქნა 1896 ერთეული ძირითადი ლიტერატურა, გაკეთდა შესაძენი წიგნების სია მოთხოვნად სასწავლო და მხატვრულ ლიტერატურაზე (90 ერთეული), გამომცემლობებთან გაფორმებული მემორანდუმების საფუძველზე უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას გადმოეცა 212 ახალი გამოცემა, მოეწყო 2 გამოფენა, შეიქმნა ორი ახალი პროექტი („ავტორიტეტი“, „ჩვენი საგანძური“), ჩაიწერა და დამონტაჟდა 13 ვიდეოფაილი, საგანმანათლებლო-შემეცნებითი მიზნით ბიბლიოთეკამ უმასპინძლა 15 სკოლას, მოეწყო 18 მწერალ/პოეტთან შეხვედრა, გაიმართა 1 ვიქტორინა და წინასაახალწლო ღონისძიებები: წიგნების კითხვის საათი და ვორქშოპი.

❖ **აბონემენტის განყოფილება და სამკითხველო დარბაზები:**
სამკითხველო დარბაზებსა და საფაკულტეტო ბიბლიოთეკებში განხორციელდა 207 100 ვიზიტი.

საზოგადოებასთან ურთიერთობა

- ❖ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი, თანამედროვე ტექნოლოგიებზე მორგებული ვებგვერდი ქართულ და ინგლისურ ენებზე ამოქმედდება 2020 წლის 1 აპრილს; გვექნება მარტივი ნავიგაციის მქონე უნივერსიტეტის ვებგვერდი გაზრდილი ხილვადობით, რასაც ხელს შეუწყობს ვებგვერდის გამართული მარტივი საძიებო სისტემის (SIO) ფუნქციონირება; ამ დროისთვის აქტიურად მუშაობს არსებული ვებგვერდი.
- ❖ 2019 წელს სოციალურ ქსელში –Facebook-ში 160 000-მდე მომხმარებელი (20 ათასით მეტი 2018 შედარებით) იღებდა ინფორმაციას თსუ-ს შესახებ. წლის განმავლობაში დაიდო 450-ზე მეტი საინფორმაციო-საიმიჯო ინფორმაცია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს საკუთარი არხი YouTube-ზე, სადაც თავსდება ყველა საჯარო ლექციის ჩანაწერი და უნივერსიტეტის შესახებ გადაღებული საინტერესო ვიდეო-მასალები. ასევე აქტიურად მუშაობს Instagram-ის ანგარიში, ამჟამად მიმდინარეობს LinkedIn-ის ანგარიშის გააქტიურება.
- ❖ 2019 წლის განმავლობაში აბიტურიენტებთან კომუნიკაცია განხორციელდა „ექსპოჯორჯიაში“ განათლების საერთაშორისო ფორუმზე 22-23 თებერვალს (დღეში საშუალოდ 1500 -2000 აბიტურიენტი სტენდთან), საბავშვო უნივერსიტეტის და პროექტის „თსუ დესპანის“, ასევე სხვა პროექტების ფარგლებში. ერთიან ეროვნულ გამოცდებზე თსუ იყო 10 ათასი აბიტურიენტის პირველი არჩევანი, აქედან 5000 გახდა თსუ სტუდენტი. ასევე ხორციელდებოდა საკონსულტაციო ღია კარის დღეები სამაგისტრო პროგრამებით დაინტერესებული ახალგაზრდებისთვის.
- ❖ 2019 წელს თსუ აქტიურად იყო წარმოდგენილი განათლების საერთაშორისო გამოფენაზე. თსუ გამოფენაზე ორიგინალური სტენდით წარსდგა, რომლის კონცეფცია წარმატებულ კურსდამთავრებულების წარდგენას ეფუძნებოდა. სტენდზე საშუალოდ დღეში 1500-2000 აბიტურიენტთან ხდებოდა კომუნიკაცია.
- ❖ თსუ. Online ვებგვერდზე მომზადდა მასალები თსუ სტუდენტების, კურსდამთავრებულების, პროფესორების წარმატებების შესახებ, რომელიც ვრცელდება ასევე ფეისბუქის მეშვეობით. საშუალოდ თვეში 3-4 მასალა წარმატებულ კურსდამთავრებულზე.

- ❖ 2019 წელს გაიმართა რამდენიმე მნიშვნელოვანი ღონისძიება, მათ შორის საერთაშორისო კონფერენცია-„მიკრობები და მათი ვირუსები: ეკოლოგია, მრავალფეროვნება და გამოყენება“ (Microbes and their Viruses: Ecology, Diversity and Applications) 25.09 (დ.ფრანგიშვილი), ნეიროლოგიის ფუნქციები (“Functions of Neuroglia”) საერთაშორისო კონფერენცია(26-28.09) (ზ.კოკია), კურსდამთავრებულების შეკრება თსუ მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯის 30 წლის იუბილეზე;
- ❖ 2019 წლის გაზაფხულზე განათლების საერთაშორისო გამოფენისთვის მომზადდა საინფორმაციო ბუკლეტები საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების შესახებ და საინფორმაციო ლიფლეტები, ასევე განახლებული საინფორმაციო-საპრეზენტაციო ბროშურა ინგლისურ და ქართულ ენებზე, სულ ბეჭდური მასალა 15000 ც.
- ❖ პლაგიატის საპრევენციო და ცნობიერების ამაღლებისაკენ მიმართული ღონისძიებების ფარგლებში მოამზადა და დაბეჭდა 2000 ცალი საინფორმაციო ფლაერი, 12 ბანერი, რომელიც განთავსდა სასწავლო კორპუსებში, დამზადდა ბრენდირებული ატრიბუტიკა პროექტის „Integrity” ფარგლებში გამართული ტრენინგებისთვის, სტუდენტებთან ერთად დაიგეგმა და განხორციელდა საინფორმაციო აქციები თსუ კორპუსებში, განთავსდა ინფორმაცია ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში.
- ❖ ფართო საზოგადოებისთვის მეცნიერების პოპულარიზაციის მიზნით 2019 წელს მომზადდა ოთხგვერდიანი 11 საგაზეთო ჩანართი (მათ შორის, ერთი სპეცჩანართი დაიბეჭდა განათლების საერთაშორისო ფორუმისთვის) და თითოეული გავრცელდა 25000 ტირაჟით. 2019 წელს ხდებოდა ორენოვანი ვებ- გვერდის <https://www.tsu.ge/science> ადმინისტრირება და სიახლეების მომზადება საიტისთვის; ასევე გასული წლის განმავლობაში მომზადდა მასალები სამეცნიერო კვლევების შესახებ ჟურნალისთვის „თსუ მეცნიერება“. 2019 წლის განმავლობაში დეპარტამენტის ხელშეწყობით 410 ღონისძიება გაიმართა. მედია საშუალებებში გაშუქების მაჩვენებელი თვეში 260-620 ერთეული პრესრელიზი, სიუჟეტი, ინტერვიუ, სტატია.
- ❖ მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალის ფარგლებში თსუ-ს ორგანიზებით გაიმართა 64 ღონისძიება.
- ❖ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტისა და კომპანია "ჯეოსელის", ამჯერად უკვე „სილქნეტის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის თანამშრომლობით, 2009 წელს სტარტი აიღო რიგით მეათესაიუბილეო სტუდენტურმა ლიტერატურულმა კონკურსმა "შემოდგომის ლეგენდა". პროექტში საქართველოს რეგიონების უმაღლესი სასწავლებლებიც მონაწილეობენ. 2019 წელს კონკურსის პირველ ტურში მონაწილეობა მიიღო ოთხასამდე კონკურსანტმა სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლიდან, მათ შორის ბათუმის, ქუთაისის, გორის და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტებიდან. ასევე გაიმართა ჟიურის

წევრებისა და ათი წლის განმავლობაში გამარჯვებული კონკურსანტების იმპროვიზაციული ტური. გამოვლინდა ორი გამარჯვებული. გამოიცა კონკურსის 10 ფინალისტის და ჟიურის წევრებისა და ფინალისტების ნაწარმოებები 2 წიგნად. „შემოდგომის ლეგენდის“ ფარგლებში გაიმართა პუბლიცისტ ზაალ ჩხეიძის საჯარო ლექცია "დიდი (პატარა) ქალაქის ჩირაღდნები", ასევე ლიტერატურული კონკურსის ისტორიაში პირველი შემოქმედებითი წერის მასტერკლასი, ტრენინგი „წერის არქიტექტურა“ ანნა კორძაია-სამადაშვილთან ერთად. პროექტში სულ ჩართული იყო 300-ზე მეტი სტუდენტი. 2019 წელს გაიმართა სტუდენტური კონკურსი - „მისია 2019“. კონკურსის მიზანია სტუდენტების ახალი იდეების განხორციელებისა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, გამარჯვებული სტუდენტების პარტნიორ კომპანიასთან თანამშრომლობის უზრუნველყოფა და სამომავლო დასაქმების პერსპექტივის ზრდა. პროექტის პარტნიორები იყვნენ „ბაზისბანკი“ და „ჯეპრა“. პროექტში ჩართული იყო 51 სტუდენტური გუნდი (3-5 სტუდენტი თითოეულ გუნდში).

- ❖ 2019 წელს ბაკალავრიატის გამოშვების მასშტაბური ღონისძიება გაიმართა სპორტის სასახლეში, რომელსაც 3000 კურსდამთავრებული და 3000-ზე მეტი მათი ოჯახის წევრი ესწრებოდნენ. მაგისტრატურის გამოშვების ღონისძიებას კი 1000-მდე თსუ მაგისტრი და მათი მხარდამჭერები ესწრებოდნენ. ღონისძიება კლუბ „ოტიუმში“ გაიმართა.
- ❖ 2019 წელს თსუ-მ უმასპინძლა 2 საერთაშორისო ფორუმს. DataFest Tbilisi 1000-მდე ქართველი და უცხოელი მონაწილეები და სპიკერები გააერთიანა, 1000-მდე მონაწილე დარეგისტრირდა TedEx თბილისი ფორუმზე.

თსუ გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტი“

- ❖ გამოიცა გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ 12 ნომერი (16 გვერდიანი), რომელიც მოიცავდა 280 საგაზეთო სტატიას.
- ❖ გამოიცა 2 კრებული;
- ❖ ედაქციასთან არსებულმა შემოქმედებითმა ჯგუფმა პროექტ „უნივერსიას“ ფარგლებში მოამზადა 31 გადაცემა,
- ❖ კომპანია „ტრი მედია ინტელიჯენსის“ (სატელევიზიო აუდიტორიის მზომი მსოფლიო ინდუსტრიის ლიდერ კომპანია „კანტარ მედიას“

ექსკლუზიური ლიცენზიანტი საქართველოში) მიერ ჩატარდა კვლევა, რომლისშედეგადაც დადგინდა: 2019 წლის დასაწყისი დან გადაცემა „უნივერსია“ გადაიცემოდა 10 რეგიონული ტელევიზიის ეთერით, მასიდან დაემატა 2 ტელეკომპანია და აგვისტოდან დამატებით კიდევ 3. ჯამში გადაცემას აჩვენებდა 15 რეგიონული არხი, რაც ადასტურებს პროგრამაზე მოთხოვნას. ეს არხებია: TV25, მეცხრე ტალღა, გურია TV, ოდიში, ეგრისი TV, კოლხეთი 89, არგო, იმერვიზია, რიონი, რიონი 2, დია TV, გურჯაანი TV, AGTV, მარნეული TV, FTV geo; ამ 15 არხიდან მხოლოდ 6 ტელევიზიის მონიტორინგი და დათვლა ხორციელდება. ამ ტელევიზიებში თვის განმავლობაში გადაცემის ყურებადობა, მხოლოდ შეწონილი მონაცემით, მთელს საქართველოზე (არ ითვლება სოფლები და მიზნობრივი ზონები) შეადგენს საშუალოდ 30 000 ადამიანს. 2019 წლის 20 სექტემბრამდე პროგრამის ამგვარმა წვდომამ შეადგინა 340 000 ადამიანი.

- ❖ გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქციის ეგიდითა და ორგანიზებით გაიმართა:
 - ✓ მერაბ კოკოჩაშვილისადმი მიძღვნილი დოკუმენტური ფილმის; „ვინც თავისი თავი შექმნა“ - ჩვენება (თსუ-ის ივანე ჯავახიშვილის სახელობის (107-ე) აუდიტორია);
 - ✓ ოთარ ბაქანიძისადმი მიძღვნილი დოკუმენტური ფილმის ჩვენება (თსუ-ის ივანე ჯავახიშვილის სახელობის (107-ე) აუდიტორია);
 - ✓ ქართულ-ებრაული ურთიერთობებისადმი მიძღვნილი დოკუმენტური ფილმის - „დიახ, ესაა საქართველო!“ - ჩვენება თსუ-ის ისრაელის ცენტრის ღონისძიების ფარგლებში (თსუ-ის პირველი კორპუსის სააქტო დარბაზის ფოიე);
 - ✓ წიგნის - „პუბლიცისტური ნარკვევები“ - „ივანე ბერიტაშვილი - კიდევ ერთი ცდა/უცნობი ისტორიები ცნობილ მეცნიერზე“ - პრეზენტაცია (თსუ-ის ივანე ჯავახიშვილის სახელობის (107-ე) აუდიტორია);
 - ✓ კრებულის - „საჯარო ლექციები - მეტი, ვიდრე ინფორმაცია“ - პრეზენტაცია (მარო მაყაშვილის სახელობის აუდიტორია);
- ❖ გაკეთდა გაზეთის რედაქციის მიერ მომზადებული გადაცემების (2018 - 2019 წწ.) არქივის ანოტაცია;

მუზეუმი

- ❖ უნივერსიტეტისა და მეცნიერების პოპულარიზაცია განხორციელდა სხვადასხვა სახის 16 დროებითი გამოფენის მოწყობით, რომლებიც მიემდვნა უნივერსიტეტის ამაგდარ პროფესორების საიუბილეო თარიღებსა და სხვადასხვა მნიშველოვან მოვლენებს;
- ❖ სამუზეუმო სივრცეში მუდმივმოქმედი ექსპოზიციის მოწყობა - ვერ განხორციელდა;
- ❖ სამუზეუმო სივრცის თანამედროვე ავეჯით აღჭურვა - ვერ განხორციელდა;
- ❖ გამოფენების საგანმანათლებლო ხარისხის ამაღლება - თითქმის ყველა გამოფენას თან ახლდა შესაბამისი ბეჭდური პროდუქცია, რომელიც მომზადებულიქნა თსუ მუზეუმის თანამშრომლების მიერ;
- ❖ სამუზეუმო ფონდებზე სტუდენტთა მუშაობის სერვისის გაუმჯობესება - ზოგიერთი სამუზეუმო ფონდებით სტუდენტთა დაინტერესება დაბალია, რაც შესაბამისი დარგის პროფესორების ინდიფერენტობითაა გამოწვეული, ხოლო ზოგიერთი კოლექცია, მაგალითად არქეოლოგია, მუდმივად ცხოველ ინტერესს იწვევს;
- ❖ შიდა და გარე კომუნიკაციის გააქტიურება - მუზეუმი თანამშრომლობს თსუ სხვადასხვა სტრუქტურებთან და ასევე საქართველოს ეროვნულ არქივთან, საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრთან, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან და სხვა დაწესებულებებთან;
- ❖ თსუ მუზეუმის ფონდების გამდიდრება - თსუ მუზეუმის ფონდი გამდიდრდა არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებული არტეფაქტებით, უნივერსიტეტის სტუმრების მიერ და დამფუძნებელთა ოჯახებიდან გადმოცემული ნივთებით.
- ❖ თსუ სამუზეუმო კოლექციების ხელმისაწვდომობის გაზრდა - თსუ მუზეუმის კოლექციებზე მუშაობენ სხვადასხვა მიმართულების პროფესორები და სტუდენტები, ამ კოლექციებიდან გამოფენილ ექსპონატების კი დაათვალიერა უნივერსიტეტის სტუმრებმა, სტუდენტებმა, პროფესორებმა და საქართველოს სხვადასხვა სკოლის მოწაფწაფეებმა.
- ❖ გუმბათქვეშა სივრცის ზედა იარუსზე მოეწყო სახვითი ხელოვნების თემატური მუდმივმოქმედი ექსპოზიცია.

კულტურა და სპორტი

ამჟამად უნივერსიტეტში ფუნქციონირებს 11 სპორტული სექცია - ფუტსალი, კალათბურთი, რაგბი, ჭადრაკი, მშვილდოსნობა, მაგიდის ჩოგბურთი, მკლავჭიდი,

მალოსნობა, ალპინისტთა კლუბი, ვაჟ ფრენბურთელთა და ქალ ფრენბურთელთა, ასევე პროფესიონალური საკალათბურთო კლუბი, 7 კულტურულ-შემოქმედებითი სექცია: -თსუ გორდელა, ვაჟთა ვოკალური ანსამბლი, კაპელა, ქორეოგრაფიული ანსამბლი, თეატრალური დასი „სხვენი“, მუსიკალური ბენდი „თსუ-ატი“, გოგონათა ტრადიციული მუსიკის ანსამბლი „უნივერსიტეტი“. გასულ წელს თსუ-ს სპორტულ და კულტურულ სექციებში ჩართული იყო 4000 მდე სტუდენტი (აქ ნაგულისხმევია იმ სტუდენტთა რაოდენობა, რომლებმაც ოფიციალურად გაიარეს რეგისტრაცია, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტში, რაც 2018 წელთან შედარებით, 480 სტუდენტი ნაკლებია, აქ გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ მეორე კორპუსში დაწყებული იქნა რემონტი სადაც განთავსებულია ქორეოგრაფიული სექციები და ფრენბურთისა და კალათბურთის დარბაზი).

სპორტის და კულტურის მიმართულებით 2019 წელს მრავალი წარმატება გვქონდა:

- ❖ სტუდენტური ლიგა ფუტსალში: პირველი ადგილი; (2018 წლის შედეგი: პირველი ადგილი)
- ❖ სტუდენტური ლიგა კალათბურთში: მეშვიდე ადგილი (2018 წლის შედეგი: მეხუთე ადგილი)
- ❖ სტუდენტური ჩემპიონატი ქვიშის სპორტულ თამაშებში: უნივერსიტეტმა დაიკავა მესამე გუნდური ადგილი (2018 წლის შედეგი: მეორე ადგილი)
- ❖ სტუდენტური ლიგა ფრენბურთში (ვაჟ და ქალ სპორტსმენთა შორის): მეოთხე ადგილი გოგონათა შორის, მეოთხე ადგილი ვაჟთა შორის. (2018 წლის შედეგი: მეორე ადგილი გოგონათა შორის; მესამე ადგილი ვაჟთა შორის)
- ❖ სსსფ თასის გათამაშება ფუტსალში: მერვედფინალი (2018 წლის შედეგი: პირველი ადგილი)
- ❖ ზამთრის უნივერსიადა : მესამე ადგილი (2018 წლის შედეგი: მესამე ადგილი)
- ❖ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი კალათბურთში, სუპერ ლიგა: გუნდმა სუპერლიგაში დაიკავა მეოთხე ადგილი (2018 უნივერსიტეტმა ჩემპიონატში დაიკავა პირველი ადგილი და მოიპოვა უფლება იასპარეზოს ქვეყნის უმაღლეს ჩემპიონატში „სუპერ ლიგა“)
- ❖ ქორქია საკანდელიძის თასის გათამაშება კალათბურთში - ტურნირზე გუნდმა მოიპოვა პირველი ადგილი (2018 - გუნდი ტურნირს გამოეთიშა საკვალიფიკაციო ეტაპიდან)
- ❖ დუდუ დადიანის თასის გათამაშება კალათბურთში - ტურნირზე გუნდმა მოიპოვა პირველი ადგილი (2018 - გუნდი ტურნირს გამოეთიშა საკვალიფიკაციო ეტაპიდან)
- ❖ ალპინიადა - გაიმართა ალპური მსვლელობა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო უნივერსიტეტის 100-მა სტუდენტმა. წლის განმავლობაში დეპარტამენტი ეხმარებოდა სტუდენტებ მცირე ჯგუფებად მოეწყობა ლაშქრობები მათთვის საინტერესო ადგილებში და გასული წლის

განმავლობაში უნივერსიტეტის 1500 მდე სტუდენტმა შეძლო ლაშქრობებში წასვლა (2018 გაიმართა ალპური მსვლელობა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო უნივერსიტეტის 70-მა სტუდენტმა.)

- ❖ თსუ გორდელა : 2019 წლის განმავლობაში ანსამბლმა გამართა 10 კონცერტი და 4 საერთაშორისო ფესტივალში მიიღო მონაწილეობა. (2018 წლის განმავლობაში ანსამბლმა გამართა 5 სოლო კონცერტი და 2 საერთაშორისო ფესტივალში მიიღო მონაწილეობა.)
- ❖ გოგონათა ფოლკლორული სიმღერის ანსამბლი: ანსამბლში ჩართულ სტუდენტთა რაოდენობა გაიზარდა 48 სტუდენტამდე, ანსამბლმა მიიღო მონაწილეობა 5 მუსიკალურ პროექტში. (2018 წელს ანსამბლში ჩართულ სტუდენტთა რაოდენობა გაიზარდა 40 სტუდენტამდე, ანსამბლმა მიიღო მონაწილეობა 2 მუსიკალურ პროექტში.)
- ❖ სტუდენტური თეატრალური დასი „სხვენი“: დასმა გამართა 4 თეატრალური წარმოდგენა და შექმნა 3 ახალი თეატრალური დადგმა. (2018 წელს დასმა გამართა 5 თეატრალური წარმოდგენა და შექმნა 2 ახალი თეატრალური დადგმა.)
- ❖ ვაჟთა ვოკალური ანსამბლი: გასულ წელს ანსამბლმა მიიღო მონაწილეობა
- ❖ 14 მუსიკალურ პროექტში. (2018 წელს ანსამბლმა მიიღო მონაწილეობა 12
- ❖ მუსიკალურ პროექტში
- ❖ ქორეოგრაფიული ანსამბლი: გასულ წელს ანსამბლმა მიიღო მონაწილეობა 5 ქორეოგრაფიულ პროექტში და 2 საერთაშორისო ფესტივალში. (2018 წლის შედეგი: ანსამბლმა მიიღო მონაწილეობა 4 ქორეოგრაფიულ პროექტში და 3 საერთაშორისო ფესტივალში.)
- ❖ კაპელა : ანსამბლში ჩართულ სტუდენტთა შეადგენს 58 შემსრულებელს. ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო 9 მუსიკალურ პროექტში და 2 საერთაშორისო ფესტივალში. (2018 წლის შედეგი: ანსამბლში ჩართულ სტუდენტთა რაოდენობა გაიზარდა 50 მდე. ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო 7 მუსიკალურ პროექტში და 1 საერთაშორისო ფესტივალში)
- ❖ მუსიკალური ბენდი „თსუ არტი“: ბენდმა მონაწილეობა მიიღო 2 მუსიკალურ პროექტში. (2017 წლის შედეგი: ბენდმა მონაწილეობა მიიღო 5 მუსიკალურ პროექტში.)

სტუდენტებისათვის თავისუფალი სპორტული და შემოქმედებითი სივრცეების მოწყობა და გამართულად ფუნქციონირება და ღონისძიების გამართვა - გასულ წელს უნივერსიტეტში ფუნქციონირებდა პირველი კორპუსის ღია საფეხბურთო მოედანი, მე-10 კორპუსის საკალათბურთო და ფრენბურთის დარბაზი, პირველი კორპუსის სააქტო დარბაზი და მერვე კორპუსის სააქტო დარბაზი. 2019 წელს განხორციელდა აღნიშნული სივრცეების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება, სადაც ყოველდღიურად სტუდენტებს შეეძლოთ დაკავებულიყვნენ მათთვის სასურველი აქტივობებით, აგრეთვე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გასულ წელს დაიწყო უნივერსიტეტის მეორე კორპუსის

ფრენბურთის და საკალათბურთო სპორტული დარბაზის და ქორეოგრაფიული დარბაზის რემონტი.

სტუდენტებისათვის შიდა საუნივერსიტეტო სპორტული ღონისძიებების გამართვა - კულტურისა და სპორტის დეპარტამენტმა თსუ-ს სხვადასხვა სტუდენტურ ორგანიზაციებთან ერთად გასულ წელს გამართა ჩემპიონატი 21 სპორტულ სახეობაში და განხორციელდა 32 კულტურულ-შემოქმედებითი პროექტი (2017 წლის მაჩვენებელი:17 სპორტულ სახეობაში და განხორციელდა 28 კულტურულ-შემოქმედებითი პროექტი).

სამართლებრივი უზრუნველყოფა

- ❖ მოდიფიცირდა საუნივერსიტეტო რეგულაციები (ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების სახით).
- ❖ ჩატარდა ინვენტარიზაცია და დაზუსტდა უნივერსიტეტის უძრავი და მოძრავი ქონება.
- ❖ შემუშავებული შესაბამისი მექანიზმი - უმაღლესი განათლების, მეცნიერებისა და მეწარმეობის კავშირის გაძლიერების მიზნით გაფორმებული თანამშრომლობითი ხელშეკრულებები.
- ❖ სამეცნიერო პროდუქტის (მათ შორის, სამეცნიერო ინტელექტუალური) მომსახურების მიზნით გაფორმებული ხელშეკრულებები.
- ❖ სამართლებრივი დახმარება გაეწია უნივერსიტეტში მიმდინარე 186 ადგილობრივ და 33 საერთაშორისო საგრანტო პროექტს.
- ❖ 2019 წელს მიმდინარე სასამართლო პროცესები (სულ 40), აკადემიური პერსონალის კონკურსის შედეგებთან დაკავშირებული დავა - 16, სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის შედეგებთან დაკავშირებული დავა - 3, შრომითი დავა - 4, საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული დავა - 2, დისკრიმინაციასთან დაკავშირებული დავა - 1, ემერიტუსის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებული დავა - 6, დიპლომის ნამდვილობასთან დაკავშირებული დავა - 1, სამეცნიერო გრანტთან დაკავშირებული დავა - 2, პლაგიატთან დაკავშირებით - 1, სტუდენტისთვის კრედიტების აღიარებასთან დაკავშირებული დავა-1, ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებული დავა - 1, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევასთან დაკავშირებული დავა - 1, დიპლომის გაცემასთან დაკავშირებით - 1. 2019 წელს დამთავრებული საქმეები (სულ - 4) აკადემიური

პერსონალის კონკურსის შედეგებთან დაკავშირებული დავა - 1, საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული დავა - 1, სტუდენტისთვის კრედიტების აღიარებასთან დაკავშირებული დავა -1, შრომითი დავა - 1.

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობით საბჭოს

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიურ საბჭოს

წარმოგიდგენთ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2019 წლის ანგარიშს.

დანართი: „ 34 „ გვერდი

ლაშა სალინაძე

ლაშა სალინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი